საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 3 ივნისი. 2024 წ. №65 (9745) ელ.ფოსტა: sak@sak.ge ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეგუნი სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

84 ჭყვია კეფაში – ნაცური დემოკრატიის სახელით

4

გულწრფელად მიკვირს, რომ „გამჭვირვალობის“ კანონის დაუძინებელი მტრები საკუთარ კომიკურ მდგომარეობას პრინციპულად ვერ ხედავენ: მათივე აღიარებით, ანალოგიური კანონი საფრანგეთში არის ფრანგული, ამერიკაში — ამერიკული, გერმანიაში — გერმანული, კანადაში — კანადური, ავსტრალიაში — ავსტრალიური, ინგლისში — ინგლისური... მაშ, რატომ არის ქართული კანონი რუსული? იმიტომ ხომ არა, რომ მისი მიღებით ქართული ოპოზიციის რუსულობა გამჟღავნდება?

3

ემიგრანტების შთამომავლმა ზვიგენივით ამოყვინთა...

6

საქართველო აგენტების ქვეყნად აქციეს დემოკრატიული გრანტებით, ანუ ქრთამით!

8

ენტონი კონსტანტინი

გასაკვირია... დასავლეთის პასუხი ქართულ „გამჭვირვალობაზე“!

ჩვენი ექსკლუზივი

7

აკაკი ჩხენკელის წერილი აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო

რამინ მიქაბერიძის

„სიკეთის ხე“ მუდამ იყვავილებს!

9



„ქართული ოცნების“ დაგვიანებული განცხადება

2

სასტიკად დამარცხებული ოპოზიცია აგონიაშია!

სასტიკად დამარცხებული ოპოზიცია აგონიაშია!



ლევან მაჭავარიანი: რამდენი მცდელობაც გექნებათ გამოავლინოთ თქვენი ფაშისტური ზრახვები, რამდენჯერაც ეცდებით ჩვენზე, განსაკუთრებით კი ჩვენი ოჯახის წევრებზე და მხარდამჭერებზე რაიმე სახის ბინძურ ზემოქმედებას, ზუსტად იმდენჯერ მიიღებთ უმკაცრეს რეაგირებას ჩვენგანაც და საზოგადოებისგანაც!

მივმართავ ფსევდოლიბერალური ფაშიზმის მიმდევრებს თუ ბოლშევიკური კამპანიის ავტორებს: „ქართული ოცნების“ ლიდერებს და მათ მომხრეებს შიში მაშინ არ გაუვლიათ გულში, როცა ფიზიკური განადგურების ყველა ბერკეტი ხელში გეჭირათ და გარედან არავინ იყო მომკითხავი, რატომ ხოცავდით ხალხს ქუჩაში, ციხეებში, რატომ არეკეტებდით ბიზნესებს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ლევან მაჭავარიანმა ბრიფინგზე განაცხადა.

მან ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა. მისივე თქმით, რადიკალურ ძალებს რამდენი მცდელობაც ექნებათ, გამოავლინონ ფაშისტური ზრახვები, რამდენჯერაც ეცდებით მათ ოჯახის წევრებსა და მხარდამჭერებზე რაიმე სახის ბინძურ ზემოქმედებას, ზუსტად იმდენჯერ მიიღებთ უმკაცრეს რეაგირებას მათგან და საზოგადოებისგან.

– ბოლო დღეების განმავლობაში სიმართლესთან და ქართველ ხალხთან სასტიკი დამარცხებით აგონიაში მყოფი რადიკალური ოპოზიცია მდიდარ ენჯეოებთან ერთად ბოლშევიკურ და ფაშისტურ მეთოდებზე გადავიდა.

მიდიან სახლებთან, ოჯახებში, ცდილობენ დეპუტატების ოჯახის წევრების დაბულინგებას, რაშიც ასევე ჩართულები არიან მათი მედიასაშუალებების წარმომადგენლებიც.

აკეთებენ წარწერებს, ემუქრებიან შვილებს, ოჯახის წევრებს და ა.შ. არ ერიდებიან ოჯახის ტრაგიკულად დაღუპული წევრების შეურაცხყოფასაც კი.

ისინი ცდილობენ არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, არამედ უკვე რიგითი ამომრჩევლები, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც კი დააბულინგონ. ამ ყველაფერმა უკიდურესად ამორალური სახე მიიღო.

თუმცა, როგორი უსუსურიც იყო მათი მცდელობა განეხორციელებინათ რევოლუციური გეგმები, აერიათ ქვეყანა და ჩაეგდოთ გამჭვირვალობის კანონი, ისეთივე უსუსურია მათი უბინძურესი ფაშისტური კამპანია. ის მხოლოდ მათ რეალურ სახეს წარმოაჩენს და აგრძელებს მათ სრულ ლუსტრირებას.

ყველასთვის ცხადია, რომ ფსიქოლოგიური ტერორის მცდელობის კამპანია რადიკალური ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არის ორგანიზებული, რაშიც თავადაც ჩართულები არიან. ამ ყველაფრის ავტორები არიან სხვა ქვეყნების, ორგანიზაციების თუ ჯგუფების აგენტები, რომელთა გამოაშკარავებამ ისეთ დღეში ჩააგდო ისინი, რომ ყველაზე მდაბიო მეთოდებზეც კი აღარ ამბობენ უარს.

ეს ხალხი კრიმინალური რეჟიმის, მკვლელობის და წამების შემოქმედია. ეს ის ხალხია, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ადამიანებზე ძალადობდნენ ფიზიკურად, ახლა კი ისე ძალადობენ რითაც და როგორც შეუძლიათ.

როგორც ჩანს მათ, შინაგანად, იმდენად აწუხებთ, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ღალატობენ და ყიდიან საკუთარ სამშობლოს, ამ კომპლექსების გადმონთხევას სხვებზე ცდილობენ და კადრულობენ უკადრებელს.

ცდილობენ, მოღალატის იარლიყი მიაკერონ სხვას, როცა თავად ყოველდღიურად ღალატობენ ქვეყანას და წარსულშიც არაერთხელ უღალატეს თავის სამშობლოს. ფაშისტურ კამპანიას აორგანიზებს ის ხალხი, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორ თვეში მხარი დაუჭირა რეზოლუციას, სადაც ეწერა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედებები და კასეტური ბომბებით დაბომბეს ცხინვალი.

სწორედ მათ მისცეს ხმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ხმა იყო გადამწყვეტი რუსეთისთვის. ესენი არიან ის ძალები, რომლებმაც ომის შემდგომ პერიოდში სტრატეგიული ობიექტები მიყიდეს რუსეთის სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს და საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპანტს ჩააბარეს.

ეს ადამიანები უწოდებენ სხვებს რუსების მონებს და მოღალატეებს, როდესაც თავად ღალატის და სამშობლოს გაყიდვის სიმბოლოები არიან!

წინა ხელისუფლების პირობებში უკვე ვიცხოვრეთ ისეთ საქართველოში, სადაც ყოველდღიურობას სისტემური წამება და გაუპატიურება წარმოადგენდა, სადაც მოქალაქეების საძინებლებში თვალთვალი რეგულარულად მიმდინარეობდა, სადაც ატერორებდნენ, ძალადობდნენ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, არ ინდობდნენ საპირისპირო აზრის მქონე პირებს და მათ ოჯახის წევრებს.

ამ ხალხს, ის დასავლელი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები, რომლებიც დღეს „ქართულ ოცნებას“ დემოკრატიას უწუნებენ, დემოკრატიის შუქურას უწოდებდნენ და დღესაც მათ რადიკალურ ქმედებებს აფინანსებენ და ახალისებენ.

მივმართავ ამ ფსევდოლიბერალური ფაშიზმის მიმდევრებს თუ ბოლშევიკური კამპანიის ავტორებს: „ქართული ოცნების“ ლიდერებს და მათ მომხრეებს შიში მაშინ არ გაუვლიათ გულში, როცა ფიზიკური განადგურების ყველა ბერკეტი ხელში გეჭირათ და გარედან არავინ იყო მომკითხავი, რატომ ხოცავდით ხალხს ქუჩაში, ციხეებში, რატომ არეკეტებდით ბიზნესებს და ა. შ.

მოგონილი საუკუნის აფერით და სიტყვა რუსულის მილიონჯერ და უარგუმენტოდ გამეორებით, ვერც ვეღარავის მოატყუებთ და ვერც დააბულინგებთ. ქართველი ხალხი არასდროს შეეგუება უსამართლობას და სხვა ხალხის მიერ აგენტურის ხელით ქვეყნის მართვას. არ ვაპირებთ, გაგიტაროთ თქვენი არც ერთი ამორალური გამოხტომა.

კარგად იცოდეთ, რამდენი მცდელობაც გექნებათ გამოავლინოთ თქვენი ფაშისტური ზრახვები, რამდენჯერაც ეცდებით ჩვენზე, განსაკუთრებით კი ჩვენი ოჯახის წევრებზე და მხარდამჭერებზე რაიმე სახის ბინძურ ზემოქმედებას, ზუსტად იმდენჯერ მიიღებთ უმკაცრეს რეაგირებას ჩვენგანაც და საზოგადოებისგანაც!

საზოგადოებას კი ვპირდებით, რომ ჩვენ ვართ და ვიქნებით ამ ქვეყანაში მშვიდობის, განვითარების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის და დამოუკიდებლობის გარანტი. ვერავინ შეძლებს ქვეყანა ჩაითრიოს ისეთ მოქმედებებში, რომელიც არ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

ყველამ კეთილი ინებოს და შეეგუოს, რომ საქართველოს შესახებ გადაწყვეტილებები საქართველოშივე მიიღება!..



„თუ დასავლეთიდან ასეთი ინტელექტუალური დახმარება მოვა, რომ არჩევნების შემდეგ იბრძოლონ, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს“, – ამის შესახებ ანალიტიკოსმა, რამაზ საყვარელიძემ განაცხადა.

– საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ვეტო დაძლეულია და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მისაღებად მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის ხელმოწერაა საჭირო. რა ხდება ამის შემდეგ? რა მოსალოდნელი სცენარები შეიძლება განვიხილოთ?

რამაზ საყვარელიძე:

საკმაოდ ცხელი შემოდგომა გველოდება, თუმცა უფრო ცხელი იქნებოდა, ეს კანონი ახლა რომ არ შემოეტანათ – სხვა მიზანი ამ კანონის ხელახლა შემოღებას არ ჰქონია!

– ყველა მოქმედებას აქვს სამი კომპონენტი: სურვილი, შესაძლებლობა ანუ ძალა და ცოდნა. ამ პროცესებმა გამოავლინა სხვა პრობლემა, ეს არის ცოდნის პრობლემა – ოპოზიციურმა პარტიებმა მომიტინგეებს ვერ შესთავაზეს რაიმე აზრიანი მოქმედება და არ იციან, რა უნდა გააკეთონ. ოპოზიციური პარტიები ისეთ რეცეპტებს ეძებენ, რომლებსაც სხვა ქვეყანაში შექმნიან – რევოლუცია უნდა მოხდეს არჩევნების შემდეგ.

როდესაც ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება დაბრალდება, ამას მოჰყვება ლეგიტიმური პროტესტი. თუ ხალხს ხმებს ჰპარავენ, მაშინ მოსახლეობის პროტესტს დასავლეთის სამართლებრივი აზროვნება ემხრობა. ვფიქრობ, გაყალბება გამორიცხულია, რადგან „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება შარიანი გაყალბება – მმართველ პარტიას ისედაც ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს.

თუმცა, არ არის გამორიცხული, ოპოზიციურმა პარტიებმა დადგან სპექტაკლი გაყალბების შესახებ და შემდეგ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადონ. თუ დასავლეთიდან ასეთი ინტელექტუალური დახმარება მოვა, რომ არჩევნების შემდეგ იბრძოლონ, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს.

არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხმის მიცემა იქნება მისი მოყვანა ხელისუფლებაში, რაც 9-წლიანი წარსულის განმეორებაა და მისი შინაარსი ყველამ იცის. მხოლოდ პროტესტი, ემოცია და სურვილი საკმარისი არ არის, ცოდნაც საჭიროა, თუ როგორ გამოიყენონ ის ძალა, რაც აქვთ.

– როგორ ფიქრობთ, საპროტესტი აქციების მუხტი შესაძლოა, გაძლიერდეს არჩევნებამდე?

– ეს აქციები თუკი ემოციებზე და სურვილზეა დამყარებული, ვიცით, რომ ემოციები დიდხანს ვერ ძლებს და ქრება, მით უმეტეს, ზაფხულის თვეები გველოდება წინ და ქალაქშიც არავინ იქნება. ეს მუხტი თვეების განმავლობაში ვერ გაძლებს, არჩევნების შემდეგ წამოიწყებენ ამ ყველაფერს ხელახლა და გაყალბებასთან ბრძოლის ტალღა დაიწყება.

– პრეზიდენტის შემოთავაზებაზე რა აზრის ხართ? მან პროევროპული ორიენტაციის მქონე ოპოზიციურ პარტიებს ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება სთხოვა...

– მმართველ გუნდსაც ევროპული ორიენტაცია აქვს – პრეზიდენტი და მისი თანამოაზრეები მას თავს ესხმიან, თითქოს ამ კანონის შემოღების გამოა რუსული ორიენტაციის. თუმცა, ოპოზიციაშიც ბევრი მეგულება, რომლის რუსულ ორიენტაციაზე უფრო მეტ არგუმენტს მოვიტანდი. ევროპულობის თემას მოსახლეობის დაბნევის ფუნქცია აქვს, ვიდრე რეალური საფუძველი.

თუკი ოპოზიციური პარტიები გაერთიანდებიან, უნდა შეადგინონ ერთიანი სია. ყველაზე მეტი ამომრჩეველი „ნაცმოძრაობას“ ჰყავს – აწყობს მას ერთიანი სია?! მათი გაერთიანება მათი განსხვავებულობის გამოც რთულია – ლიდერები რომც გაერთიანდნენ, ამომრჩეველი შეიძლება არ გაერთიანდეს. ასევე, ოპოზიციური პარტიები ცალ-ცალკე თუ გავიდნენ, ისინი ერთმანეთს ხმებს წაართმევენ –

ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲖᲕᲘᲒᲔᲜᲘᲕᲘᲗ ᲐᲛᲝᲧᲕᲘᲜᲗᲐ...

ᲠᲝᲪᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲘᲡ!

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ მაისის ბოლო კვირის მოვლენები რატომ რამდენიმე „ჩვეულებრივი“, წლის წონას არ იტვირთავს! ბუნების ამ საოცრებას ქართველმა მარია სპირიდონოვამ ხატია დეკანოიძემ თავისი ნამეტანი იკლიკანტური ენით „ბოროტების განალურობის მორალური კატასტროფა“ უწოდა და მსმენელი გადარია, ამ გადარეულმა მსმენელმა, ვფიქრობ, ნაკლებად გაიგო ენამჭევრი ტრიბუნი მანდილოსნის ეს ურთულესი კალამბური, ოღონდ, ყოველი შემთხვევისთვის ტაში მაინც დაუკრა.

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტმა ჰქმნა ის, რასაც ვერ გაბედავდა ევროპის ვერც ერთი სახელმწიფოს პარლამენტი და ხელისუფლება: ამერიკა-ევროპის დიდი ხვეწნა-მუქარის და ოპოზიციის ლანძღვა-გინების მიუხედავად, ერთხელ ნათქვამი არ გადათქვა!

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, ერთი მხრივ, ქვეყნის იზოლაციის რისკებს წარმოშობს, მეორე მხრივ კი აჩვენებს, რომ საქართველოს ხელისუფლება იზოლაციით გამოწვეული ზიანის შემცირებისთვის დგამს მტკიცე ნაბიჯებს.

„რუსული კანონის“ მიღებას საქართველოსთვის სამწუხარო დღე უწოდა აშშ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ბენ კარდინმა... თეთრი სახლის პრეს-მდივანმა კერინ ჟან-პიერმა ბრიფინგზე „უცხოური გავლენის კანონს“ ანტიდემოკრატიული უწოდა: მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა, იმედგაცრუებულნი ვართო. აშშ სახელმწიფო დეპრტამენტის მდივანმა მეთიუ მილერმა მყისიერად განაცხადა, რომ ეს ფაქტი რისკის ქვეშ აყენებს აშშ-საქართველოს ურთიერთობას...

ერთი სიტყვით, აშშ ყველა დონეზე და ყველა რანგის მოხელის დონეზე, უაღრესად შეშფოთებული და აღშფოთებულია, მზად არის საქართველოს გადაათქმევინოს მიღებული კანონი, ოღონდ, რომ ველოდით, არიქა, კანონის მიღებისთანავე წამოვა სანქციები, ჯარიმები და ყოველგვარი მათრახი და როზგიო, რაღაც ისე არ ჩანს და ნეტა რაშია საქმე?

მე ვფიქრობ, საქმე იმაშია, რომ აშშ ბევრად უფრო გონიერი, დაკვირვებული და წინდახედულია, ვიდრე ეს ჩვენს თავქარიან ოპოზიციონერებს წარმოუდგენიათ. თუნდაც ეს ფაქტი რად ღირს: 31 მაისს ამერიკაში გაემგზავრა დიდი ქართველი მეფანჩატურე, საქართველოს იმედი, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალიკო ნათელაშვილი, რათა შეხვდეს იქაურ კონგრესმენებს, სენატორებს, მოხელეებს და დააჩქარებინოს ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ლიდერთა დასანქცირება(?!)...

ასეთია ჩვენი ოპოზიციის ბინძურ პოლიტიკა, მისი ბუნება.

თვალთაგან არ ამომდის საზიზღარი სურათი: აზიმზიმებულ ოპოზიციურ სცენაზე ლოყებაღაჟღაჟებული თინა ბოკუჩავა დგას და „ერის მოღალატე“, „სამშობლოს გამყიდველი“ პარლამენტის უმრავლესობის, იმ



ᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲙᲝᲜᲤᲠᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲐᲓ, ᲕᲔᲠ ᲐᲡᲬᲔᲕᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲐ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲭᲐᲛᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲕᲔ ᲓᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲖᲕᲘᲒᲔᲜᲣᲙᲔᲑᲘ. ᲨᲝᲠᲡ ᲮᲔᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ.

ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ. ᲐᲛᲐᲝᲓ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲚᲐᲓᲐᲓ. ᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲙᲝᲜᲤᲠᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲐᲓ, ᲕᲔᲠ ᲐᲡᲬᲔᲕᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲐ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲭᲐᲛᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲕᲔ ᲓᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲖᲕᲘᲒᲔᲜᲣᲙᲔᲑᲘ. ᲨᲝᲠᲡ ᲮᲔᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ.

1991 წლის ბოლოს ზვიად გამსახურდია, როგორც „დიქტატორი“ დაამხეს „დემოკრატიულმა“ ძალებმა. ამისთვის 1992 წლის 7 იანვარს აღფრთოვანებულმა სალომე ზურაბიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუასა და მთელ ოპოზიციას. ამ დღეებში სოციალურ ქსელში აქტუალური გახდა სალომე ზურაბიშვილის ეს მილოცვა და ბევრმა გააზიარა შესაფერისი კომენტარებით: „ეს მაშინ უნდა გვცოდნოდა, პრეზიდენტად რომ ვსვამდით...“ „ნიკა გვარამიამ რაც უწოდა, სწორედ ის არის...“ „აგენტია, აბა, რა არი?..“

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲭᲠᲘᲐᲛᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲣᲛᲮᲜᲔᲕᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲪᲘᲡᲠᲔᲑᲡ: „ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲗ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲮᲛᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲡᲞᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲮᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲓᲡ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲔ ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ. ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲐᲠᲗ ᲛᲔ!“

პრეზიდენტი დიდ იმედს ამყარებს სამ ვეშაპზე: ერთ მუშტად შეკრულ ოპოზიციაზე, დიასპორაზე და ჩვენს პარტნიორებზე.

მე ვერ ვიტყვი, რამდენად მტკიცე და ერთსულოვანია ოპოზიცია-აქციებზე გვერდიგვერდ ყოფნა და ერთობლივად ხმაური არ ნიშნავს ერთსულოვნებას (თუმცა, ჯერ ყველაფერი წინ არის). არ მესმის, რას ნიშნავს „დიასპორის ნახევარი მილიონი ხმა“, ანუ ზუსტად იმდენივე, რამდენიც „არჩევნების დამცველებისა“. თუმცა, მე რომ არ მესმის, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რაც მთავარია, პრეზიდენტს ჯიბეში უდევს დიასპორის ნახევარი მილიონი ხმა და მე რა მრჯის ეჭვის დასათესად.

რაც შეეხება იმას, რომ "ჩვენი პარტნიორები ჩვენს გვერდით იქნებიან", აშკარად სათუოდ მეჩვენება. ამ პარტნიორებში პირველ ყოვლისა, ამერიკა და საფრანგეთი უნდა მოვიაზროთ. არადა, ამას წინათ მუსიე მაკრონი იღრინებოდა, საფრანგეთი არ გახდება აშშ-ის ვასალიო. რატომ? ადვილი სავარაუდოა... ასეთივე ღრენია რამდენიმე კიდევ მოიძებნება. ჰოდა, პარტნიორები მუჯა-მუჯა ცოტა ძნელი საპოვნელი ხომ არ იქნება?

ამ დღეებში სწორედ გამოწერილი-ვით ერთი, არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა მოხდა, რამაც აშკარად უნდა შეცვალოს ძალთა თანაფარდობა: ანაკლიის პორტის პროექტში ჩინური კონსორციუმი გამოცხადდა გამარჯვებულად და უკვე ივნისშივე დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოები. ინვესტორს მხოლოდ 49% წილი ექნება...

ოპოზიცია ამ უზარმაზარი მნიშვნელობის მოვლენას თავისებური უკუღმართობით გამოეხმაურა. ეგ ჩინური კონსორციუმი ყოველად უვარგისია, ადრე სანქცირებული იყოო. ამ ცრუ ბრალდების გამო ჩინეთის ელჩმა საქართველოში საჭიროდ ჩათვლა, საჯარო განმარტება გაეკეთებინა.

ეს დღეები „დაამშვენა“ არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებამ: რუსული კანონი ჩვენს ქვეყანაში არ იმუშავებს, ის დარჩება ფარატინა ქაღალდად, რომელსაც არავინ დავემორჩილებითო.

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲛᲐᲪᲘ, თავგადადებული კაცებისა და ქალების 84-კაციან სიას კითხულობს, რომლებმაც უკან არ დაიხიეს, სძლიეს სამარცხვინოდ აჯაგრულ ოპოზიციას და მის ხმას აყოლილი ახალგაზრდობის ათიათასიან დაუსრულებელ საპროტესტო აქციებს. კითხულობს ზიზღით, სიძულვილით, ჩაქოლვის სურვილით. გვერდით გოდორა ჭიჭე ვაშაძე უდგას იმედად, მშველელად და ყოველი გვარის ამოკითხვის შემდეგ მუშტს ზევით სწევს ძირს დაშვებული ცერით. ეს ის ნიშანია, რომელსაც დამარცხებული გლადიატორის მოკვლის ნიშნად იძლეოდა ცირკში მყოფი იმპერატორი.

იმ დღეს 84 ოცნებელი პარლამენტარი მოკლა გიორგი ვაშაძემ ძირს დაშვებული ცერითა და სახეზე შეყინული კრეტინული ღიმილით. ალბათ, ცხადშიც ასეთივე უშინაარსო ღრეჭვით წარბშეუხრელად გაისტუმრებდა ეს კაცი თავის კოლეგებს მოუსავლეთში და უსაშველოდ გაახარებდა „შერისხულთა“ ჩამოთვლით აღგზნებულ თინას...

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა ის ფათერაკიანი კანონი მიიღო, ანუ როგორც უფრო სიამაყით ამბობენ, „პრეზიდენტის ვეტოს სძლია“, სალომე ზურაბიშვილმა საპროტესტო აქციის მონაწილეებს ეკრანიდან დისტანციურად მიმართა: 84 შულავერელი თუ 84 ორჯონიკიძე ვერაფერ მომავალს ვერ მიაღწევს, ეს მომავალი ჩვენია...გაბრაზებული ხართ ხომ დღეს? გაბრაზდით, მაგრამ დავიწყოთ საქმე. ეს ენერგია, რაც თქვენშია, იმას უნდა მოხმარდეს, რომ ხელმოწერები მოაგროვოთ და მოიტანოთ ჩემთან და მოვაწერ ხელს რეფერენდუმს, გვინდა ევროპული მომავალი თუ გვინდა რუსული მონობა? ამის შემდეგ ხელმოწერების შეგროვება თქვენი მთავარი მოვალეობა იქნება.

როგორი სწორედ სფინქის შესაფერისი შეკითხვაა დასმული სარეფერენდუმოდ! პასუხის გაცემა არ გინდა?

რა ოპერატიულობაა, რა დიდებული გამოსავალია შექმნილი რთული ვითარებიდან!.. ოღონდ, ამასთან რა გონების დაბნელებაა, რა გულმავიწყობაა პრეზიდენტის მხრივ! რეფერენდუმის ჩატარება პრეზიდენტის ახირებაზე არ არის დამოკიდებული, მას პრემიერ-მინისტრის თანხმობა სჭირდება, თანაც ისიც სათქმელია, რომ რეფერენდუმი ერთობ პრობლემურია ოკუპირებული ტერიტორიების გამო...

ისე კი სიმართლეს თუ ვიტყვით, „ოცნებამ“ ვერ შეაფასა ამ ქალბატონის შურისძიებისა და ამბიციის სიგრძე-სიგანე. რატომღაც მასში მხოლოდ არცთუ ღრმა, ხანდაზმულ ქალს ხედავდნენ, რომელიც თავად დასვეს პრეზიდენტის ტახტზე, ინაუგურაციის დროს მგლებივით ადევნებულ ნაცებს რომ ემალებოდა თელავში. არ დავიწყნია ის დღე ქალბატონ სალომეს, არც ის დღე, საკონსტიტუციო სასამართლოში იმპიჩმენტით რომ ათრიეს ოცნებელებმა. დადგა დრო და ემიგრანტების შთამომავალმა ზვიგენივით ამოყვინთა...

ამის გამო, გაერთიანება აზრიანი არის, თუმცა ამ გაერთიანებას განსხვავებული აღქმა აქვს.

– არსებობს მოსაზრება, რომ „ქართულ ოცნებას“ მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებში 60%-ის აღება გარანტირებული ჰქონდა ამ კანონის ხელახლა ინიცირებამდე. თუმცა, აღნიშნული საკითხი დღეს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშაა. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– უფრო კომფორტული იყო „ქართული ოცნების“ მდგომარეობა კანონამდე, ვიდრე კანონის შემდეგ. თუმცა, გავიხსენოთ რა თქვა ივანიშვილმა – მზადდებოდა გადატრიალება არჩევნების შემდეგ, ისევე როგორც ეს უკრაინაში მოხდა და იმისთვის, რომ განიარაღება მოეხერხებინათ არჩევნების შემდეგ მოსალოდნელი პროტესტისა, ის პროტესტი ამ კანონზე ახლა უნდა წამოსულიყო – ამაში ფინანსური რესურსებიც იგულისხმება. ეს გარკვეული რესურსი ამ დღეებში დაიხარჯა, მაგრამ არჩევნების შემდეგაც პროტესტს დაფინანსება ექნება. სწორედ ამ ფინანსური რესურსის შემცირება იყო ერთ-ერთი მიზანი.

ასე რომ, ჩვენ საკმაოდ ცხელი შემოდგომა გველოდება, თუმცა უფრო ცხელი იქნებოდა, ეს კანონი ახლა რომ არ შემოეტანათ. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო დუელის გამოწვევა, ხელთათმანი ესროლეს და მან ეს გამოწვევა მიიღო. სხვა მიზანი ამ კანონის ხელახლა შემოღებას არ ჰქონია. უნდა ითქვას, რომ თუ მმართველი ძალა დამარცხდება, ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ მოვა...

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ

ᲜᲘᲙᲝ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ

84 ჭყვია კეფაში — ნაცური დემოკრატიის სახელით

თუ ნებას დამრთავთ, ოდნავ გავცდები გასული კვირის ფარგლებს და 26 მაისს, უფრო ზუსტად, ამ დღისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გამოსვლებს შეგახსენებთ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ პრეზიდენტის ნახევარსაათიანი გამოსვლა იყო არა ქვეყნის პირველი პოლიტიკოსის საზეიმო მიმართვა ჯარისკაცებისა და მთელი საქართველოსთვის, არამედ ყოვლად განალური წინასაარჩევნო სააგიტაციო, ხელისუფლების დაუსაბუთებელი კრიტიკით გაჯერებული ოპოზიციის მხარდამჭერი მიეთმოეთი. ამავე დროს, პრეზიდენტმა წარმოადგინა მომავალი სამოქმედო გეგმა „ქართული ქარტია“ და ოპოზიციურ ძალებს „მასზე შეჯერება“ შესთავაზა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ დედა სალომეს ქარტიას მეორე დღესვე თანადგომა გამოუცხადეს ხაზარაძე-ჯაფარიძის „ლელომ“ და მელია-გვარამიას „ახალმა.“

ამ დღის სრულიად შესაბამისი გახლდათ პრემიერ ირაკლი კობახიძის მოკლე საზეიმო მისასალმებელი სიტყვა. თუმცა, ჩემი აზრით, ერთ მომენტში მას ნერვებმა უმტყუნა და პრეზიდენტი საჯაროდ მოღალატედ მოიხსენია. არ ვამბობ, რომ სალომე ზურაბიშვილი არ იმსახურებს ამგვარ შეფასებას - იმსახურებს და იქნებ უფრო მეტსაც, მაგრამ ეს არ გახლავთ პრემიერის პრეროგატივა. ამისთვის არსებობს სხვა გარემოებები და არსებობენ სხვა ადამიანები.

* * *

ვერ ვიტყვი, ძველებური პათოსით-მეთქი, მაგრამ თბილისში გასულ კვირას კვლავ მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები „გამჭვირვალობის შესახებ“ უკვე მიღებული და პრეზიდენტის მიერ ვეტოდადებული კანონის უკან გაწვევის მოთხოვნით. თუ ამგვარი აქციებისთვის ნიშანდობლივ მცირე გაუგებრობებს არ ჩავთვლით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ვფიქრობ, განსაკუთრებულად ვერ ჩაითვლება გასულ კვირას პრეზიდენტის ორიგინალური ინიციატივა უახლოეს მომავალში რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე. გულწრფელად რომ ვაღიარო, პირადად მე პრეზიდენტის ინიციატივის არსს და აუცილებლობას ვერ ჩავწვდი. რაც მთავარია, კონსტიტუციურად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე რეფერენდუმის ჩატარება ამ რეგიონების „დამოუკიდებლობის“ ოფიციალურად აღიარებას ნიშნავს, რასაც ამდენი წელია, ელოდება ზურაბიშვილის „მოსისხლე მტერი“ რუსეთი. ანუ საქართველოში რეფერენდუმის ჩატარება პირდაპირ შედის რუსეთის ინტერესებში და ამას (სავარაუდოდ, კრემლის დავალებით) მოითხოვს სახელგატეხილი, მაგრამ მაინც საქართველოს პრეზიდენტი!

დიდი იმედი მაქვს, არ ვცდები – პრეზიდენტის ანტისახელმწიფოებრივი ბოდვა ოპოზიციის უმრავლესობამაც დაინახა და რეფერენდუმის მოთხოვნას არ დაეთანხმა. მათი თავდაჯერებული განცხადებით, რეფერენდუმი იქნება სწორედ ოქტომბრის არჩევნები, რომელიც ხელისუფლებაში დააბრუნებს „ეროვნულ ძალებს“ ხაბეიშვილ-სააკაშვილის ბელადობით.

განსაკუთრებული და, ზოგადად, დემოკრატიული საზოგადოებისთვის ყოვლად მოულოდნელი აღმოჩნდა გასულ კვირას პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, ბატონ გიორგი მსხილაძის გამოსვლა ჯერ საპარლამენტო სხდომაზე. შეგახსენებთ, რომ საქართველოს (და მსოფლიოს ყველა დემოკრატიული ქვეყნის) კანონმდებლობა პარლამენტის გადაწყვეტილებაზე ვეტოს დასადებად პრეზიდენტისაგან დასაბუთებული, მოტივირებული შენიშვნების წარდგენას მოითხოვს. ბატონი მსხილაძეც დაგვპირდა, რომ დასაბუთებულ შენიშვნებს წარმოადგენდა. საბოლოოდ კი მისი „დასაბუთება“ ორიოდე უკვე კარგად ნაცნობი წინადადებით ამოიწურა: ქართული კანონი უნდა გაუქმდეს იმიტომ, რომ იგი არის რუსული, არ შეეფერება ევროკავშირის მოთხოვნებს და საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროინტეგრაციას. გამოთქვა დათმობაზე წასვლის მზადყოფნაც – პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონი იმ პირობით, რომ მას გააუქმებს დამტკიცებიდან ერთი დღის შემდეგ.

გაგიკვირდებათ და, მრავალსაათიანი ხვეწნა-ვედრების მიუხედავად, ბატონმა მსხილაძემ პრინციპულად არ ახსნა, რატომ არის ქართული კანონი რუსული, მისი რომელი მუხლი ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას, ან ზღუდავს საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებს, რა საფრთხეს უქმნის არასამთავრობო ორგანიზაციებს და ა. შ. სხდომის წამყვანმა ანრი ოხანაშვილმა ამაოდ სცადა მსხილაძესთან ერთად კანონის მუხლობრივად განხილვა – პრეზიდენტის წარმომადგენელი შეუვალი იყო – მე არ შემოვალ კანონის მუხლობრივად განხილვაში და რატომ არ შემოვალ? – იმიტომ!

მოკლედ, ბატონმა ანრი ოხანაშვილმა ბატონ გიორგი მსხილაძეს გარშემო ბევრი ურბინა, მაგრამ ერთადერთი არგუმენტის გარდა (იმიტომ!) ვერაფერი წამოაცდენინა. იმედია, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სათანადოდ დააფასებს თავისი საპარლამენტო მდივნის პრინციპულობას და იქნებ საპროტესტო მიტინგებზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობითაც დააჯილდოვოს. მით უფრო, რომ საპარლამენტო ტრიბუნიდან ჩამოსული პრინციპული ბატონი „იმიტომ“, პარდონ, – მუსიე ჟორჟი, – მისი გამოსვლით აღფრთოვანებულ თანამოაზრეებთან ერთად პირდაპირ საპროტესტო აქციაზე გაექანა.

გასულ კვირას გამჩენილი ქართველი პოლიტიკოსების, თეონა აქუბარდიასა და პაატა მანჯგალაძის მიმართვის საფუძველზე, ევთოს „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ოფისმა“ (**ODIHR**) გამოაქვეყნა დასკვნა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“ შესახებ. დასკვნის თანახმად, კანონი არ ემსახურება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებში ასახულ ლეგიტიმურ მიზანს; ძლიერ ზეგავლენას ახდენს გაერთიანებებისა და პირადი ცხოვრების უფლებებზე.

ODIHR საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, დაუჯეროს ზურაბიშვილ-სააკაშვილს, გააუქმოს კანონი და გადადგას ნაბიჯები ქვეყნის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მართალია, დასკვნაში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ იგულისხმება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მომავალში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ხაზარაძის, გირჩების, ჩემი ხაბეს, ნატა ფერაძის, მეგი გოცირიძის, სხვა დიდი პოლიტიკოსების ბრძნული შეგონებები. ძალიან საინტერესოა ეუთო-ოდირის დასკვნის შექმნის თარიღიც – არსებობს დიდი ალბათობა, რომ იგი ქართული „გამჭვირვალობის“ კანონის მიღებამდე დაიწერა.

ვინაიდან არ ვარ და ვერც ოდესმე გავხდები აქუბარდია-მანჯგალაძის დონის ავტორიტეტი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, შემიძლია ვაღიარო, რომ ეუთო-ოდირიც, ბევრი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაც არის სათამაშო „ჩვენი მეგობარი“ ამერიკელი პოლიტიკოსების ხელში. თავად განსაჯეთ, საერთაშორისო ორგანიზაცია სასწრაფოდ ხელს აწერს დასკვნაზე საქართველოს შესახებ ისე, რომ არ ინტერესდება საქართველოს ხელისუფლების, ქართველი მეცნიერი-იურისტების, ქართველი ექსპერტების, ქართველ ამომრჩეველთა უმრავლესობის აზრით. ცინიკურად იმასაც გვეუბნება, თუ მომავალში რაიმე იურიდიული დოკუმენტის მომზადებას დააპირებთ, აუცილებლად მოგვმართეთ, აგერ გვყავს თქვენი მარადიული პრეზიდენტი სააკაშვილის მარადიული ამერიკელი ადვოკატი და აუცილებლად დაგეხმარებითო!

გულწრფელად მიკვირს, რომ „გამჭვირვალობის“ კანონის დაუძინებელი მტრები საკუთარ კომიკურ მდგომარეობას პრინციპულად ვერ ხედავენ: მათივე აღიარებით, ანალოგიური კანონი საფრანგეთში არის ფრანგული, ამერიკაში – ამერიკული, გერმანიაში – გერმანული, კანადაში – კანადური, ავსტრალიაში – ავსტრალიური, ინგლისში – ინგლისური... მაშ, რატომ არის ქართული კანონი რუსული? იმიტომ ხომ არა, რომ მისი მიღებით ქართული ოპოზიციის რუსულობა გამჟღავნდება?

იქნებ სულაც ამ შიშების ბრალია, რომ გასულ კვირას ოპოზიციამ კიდევ ერთხელ წამოიწყო გულისამრევად ცრუპენტელური კამპანია, რომ გამჭვირვალობის კანონის ამოქმედება უარყოფითად იმოქმედებს ონკოლოგიური პაციენტების, შშმ პირების, გაჭირვებულების... დაფინანსებაზე. შესაბამისად, ხელისუფლებას უწევს აბსურდული ბრალდებების მოგერიება და იმის თავიდან მტკიცება, რომ თეთრი არის თეთრი და შავი არის შავი, რომ კანონი ეხება მხოლოდ არასამთავრობოებს, კანონში მითითებულ ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას და არავითარი კავშირი არ გააჩნია, ვთქვათ, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან ან კერძო პირებთან; რომ კანონი ითვალისწინებს უცხოური დაფინანსების, ხარჯების გასაჯაროებას და სხვას არაფერს.

* * *

გასულ კვირას კიდევ ერთხელ გაგვეცნო ჯინო დოლინი (დოლიძე). ოდესღაც, ადრეული ბავშვობის ასაკში პერსპექტიული და კარგა ხანია დავიწყებული ქართველი ჩოგბურთელი. ცხოვრობდა საქართველოში და შემდეგ რუსეთში. ამჟამად აშშ-ის მოქალაქეა. როგორც თვითონ ბრძანებს, უყვარს ამერიკა და ამერიკული დემოკრატია. გასულ კვირას გავრცელებული მისი ეს მიმართვაც ქართველი ხალხისა და ისტორიული

საქართველოს ხელისუფლებამ მომავალში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ხაზარაძის, გირჩების, ჩემი ხაბეს, ნატა ფერაძის, მეგი გოცირიძის, სხვა დიდი პოლიტიკოსების ბრძნული შეგონებები. ძალიან საინტერესოა ეუთო-ოდირის დასკვნის შექმნის თარიღიც — არსებობს დიდი ალბათობა, რომ იგი ქართული „გამჭვირვალობის“ კანონის მიღებამდე დაიწერა.

სამშობლოსადმი ამერიკული უანგარო სიყვარულის სიმბოლოა: „ჟურნალისტებო, გთხოვთ, გამოამზეუროთ 83 მონა დეპუტატის მეუღლეების, სრულწლოვანი შვილების და მშობლების ვინაობები, სად მუშაობენ, სად ცხოვრობენ, სად სწავლობენ“. ეს სწორედ ის ღვიძლ დაიკო ანა დოლიძეზეც მეტად მხურვალე ცოლიანი პატრიოტი ქალბატონია, გასულ კვირაში ქართული კულტურის სიამაყეს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ელისო ბოლქვაძეს პარიზის აეროპორტში რომ მიუვარდა და უმძიმესი შეურაცხყოფა მიაყენა. მიკერძოებაში რომ არ ჩამეთვალოს, ქალბატონი ჯინო ერთობ ზრდილობიანად ილანძღებოდა – თქვენ ხართ მონა, ქალბატონო ელისო, თქვენ ხართ მონა...

სამაგიეროდ, დიდი თავაზიანობით არ გამოირჩეოდა ოდესღაც ავადსახსენებელი ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი, თავისი სისასტიკითა და დაუნდობლობით ცნობილი, რამდენიმე მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ნასამართლევი გია უდესიანი, რომელმაც თანამზრახველებთან ერთად საფრანგეთში, ლევილის მამულში ელისო ბოლქვაძის მიერ ორგანიზებული ფესტივალის ჩაშლა სცადა.

* * *

გასულ კვირასვე სააგენტო Jamnews თანამშრომელი პირდაპირ კეფაში 84 ტყვიით დაემუქრა პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებს, ვინც ხმა მისცა გამჭვირვალობის კანონს. საინტერესოა, რომ სააგენტო ფინანსდება მეგობარი ევროკავშირის ბიუჯეტიდან, ანუ ამ „მეგობრული“ მოწოდების ავტორი ხელფასს იღებს ევროკავშირიდან. ევროკავშირის წარმომადგენლობა ან რომელიმე მეგობარი ქვეყანა ამ მოწოდებას არ გამოხმაურებია.

სააგენტომ მუქარა თავისი გვერდიდან მალევე წაშალა იმ მოტივით, რომ ჩვენ, საქართველოს უბირმა მოქალაქეებმა მისი შინაარსი სწორად ვერ გავიგეთ – თურმე, კეფაში ტყვია კანონის მიმღებ პარლამენტარებს ჩვენ კი არ უნდა დავახალოთ, თანაც დაუყოვნებლივ, არამედ თავისი გადაწყვეტილებით სწორედ ამ პოლიტიკოსებმა დაგვახალა 84 ტყვია ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს.

სამწუხაროდ, შეუძლებელია არასწორად გავიგოთ თბილისის, ბათუმის, სხვა ქალაქების შენობებზე ზეთოვანი საღებავებით შესრულებული დაახლოებით ანალოგიური შინაარსის მოწოდებები. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ არაადამიანური, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის გამრყვნელ-გამაავებელი მოწოდებების ინიციატორები პოლიტიკური ოპოზიციის ჩასაფრებული, ყველა სიბინძურის მკადრებელი „ლიდერები“ უნდა ბრძანდებოდნენ.

დიდი იმედი არ მაქვს, რომ გამგები გაიგებს, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ამგვარი ყოვლად უპასუხისმგებლო საქციელი, თუ დღესვე არა, უკვე ხვალ ბასრ მახვილად შემოუბრუნდება ჩვენს ახალგაზრდობას და მთლიანად ჩვენს ქვეყანას. სხვათა შორის, ამაზე ფიქრი და შესაბამისი ზომების მიღება, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებას მართებს.

* * *

28 მაისს ევროპულ-ამერიკული ცინიკური მუქარა-დარიგებების ფონზე ხელი მოეწერა ჩინეთ-საქართველოს ისტორიულ შეთანხმებას ჩინეთში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის შესახებ. ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ ამ მართლაც ისტორიულ მოვლენას ჩვენი ყოვლისმცოდნე და ყოვლისუარმყოფელი ოპოზიცია ამრეზით და ცეცხლოვანი კრიტიკით შეხვდა – ჩინეთი, თურმე, ჩვენს „ისტორიულ მტერ“ რუსეთთან ფლირტაობს და წარმოიდგინეთ, თანამშრომლობს კიდეც; რომ ეკონომიკის თვალსაზრისით მეორე და მოსახლეობით პირველ ქვეყანას დედამიწაზე, რუსეთის გარდა, მრავალტრილიონიანი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებს აშშ-სთან და მსოფლიოს თითქმის ყველა დანარჩენ ქვეყანასთან.

* * *

გასულ კვირას საპროკურორო საბჭომ დაიწყო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო თანამდებობიდან გადანმდგარი გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძის შემცვლელის შერჩევა. იგი უნდა შეირჩეს სამი კანდიდატიდან. ამ სამიდან ერთი მდედრობითი სქესისა უნდა იყოს. თუ მიშასდროინდელი ენამზე გვარამია ამ თანამდებობას დასთანხმდა, ოპოზიციას მაგრად გაუმართლებს. რაც შეეხება მდედრობითი სქესის კანდიდატურას, ოპოზიცია ალბათ ანა დოლიძეს წარადგენს – იურისტია, უშიშარია, მიშა უყვარს და კანონი და სამართალი ფეხებზე ჰკიდია.

იმედია, დაგაინტერესებთ ის ფაქტი, რომ გასულ კვირას აშშ-ის სასამართლომ ფინანსური დოკუმენტების გაყალბების, ამორალური საქციელის, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტებისადმი უდიერი დამოკიდებულებისა და სხვა დანაშაულების გამო გაასამართლა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი და მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი. 12-კაციანმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მას ოთხწლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ადვოკატები განაჩენს აუცილებლად გაასაჩივრებენ, თუმცა აშშ-ის კანონი განსასჯელი პირის, თვით პატიმრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ კრძალავს.

თეიმურაზ ძორიძე

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!

(ფიქრები ჩვენს პარლამენტზე)

გამჭვირვალობის შესახებ ვეთო პრეზიდენტის, სამგლე (უჰ, სალომე ზურაბიშვილის) ვეტოდადებული კანონის, იურიდიული კომიტეტის სხდომაზე განხილვას რომ ვუცქერდი, ერთი ანდაზა გამახსენდა: „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“.

არავითარი განხილვა იქ არ იყო. კანონის მოწინააღმდეგე ოპოზიციონერებს ამ კანონის მიმართ მხოლოდ ერთი „შენიშვნა“ ჰქონდათ: ეგ კანონი მავნეაო! რატომ არის მავნეო, – რომ ეკითხებოდნენ, პასუხი ასეთი იყო: ყველა ჩვენმა ევროპელმა პარტნიორმა დაიწუნა და იმიტომო.

რა ფინანსები და რა მიზნით შემოდის არასამთავრობო ორგანიზაციების ე.წ. ენჯეოების ანგარიშზე, არ უნდა ვიცოდეთ ჩვენ და პირველ რიგში ხელისუფლებამ? პირველ ყოვლისა კი უშიშორების სამსახურმა? რატომ არის ბნელით მოცული უცხოური ვალუტის ნიაღვარი, რომელიც ჩვენი, „დაუძინებელი მეგობარი“ სახელმწიფოდან მოედინება?

ამის გამოცნობას დიდი ჭკუა არ სჭირდება, რატომ მალევან ამ ფულის მიმღებები

ახლა მე გავაკეთებ ასეთ დასკვნას და გამამტყუნეთ: ის პარლამენტარები, რომლებიც ამ კანონს ეწინააღმდეგებიან, ან ქურდები არიან, ან სულელები! ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთები პარლამენტის თითქმის ნახევარს შეადგენენ!

ახლა თქვენ გააკეთეთ დასკვნა: ის პარლამენტია ქართველი ხალხის საკადრისი, სადაც თითქმის ნახევარი ან ქურდია ან სულელი? ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი პარლამენტი არა მარტო საკადრისი არ არის, არამედ იგი არც იმსახურებს საკანონმდებლო ორგანოს სახელი ერქვას!..

უცხოეთიდან მომდინარე „დახმარებას“, ან რამ გააწიწმატათ ასე ის უცხოელი „ქველმოქმედი“ ბიძიები, ძნელი გასაგებია განა?

უხსოვარ დროს შეიქმნა ეს ანდაზა „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“, საუკუნეთა განმავლობაში არც ქურდების ბუნება შეცვლილა და არც ხალხის დამოკიდებულება მათ მიმართ.

ქურდი ყაჩაღი და მოძალადე არ არის. ის კი არ ართმევს ადამიანს რაიმეს, არამედ იპარავს, ჩუმად სხვისგან შეუმჩნევლად. ამიტომ არის მისთვის სასურველი ბნელი ღამე ან ადამიანის დაბნელებული გონება.

მხოლოდ სააკაშვილმა მოინდომა ქურდებისა და ყაჩაღების გათანაბრება და კანონი მიიღო ქურდული ტრადიციების წინააღმდეგ. ამიტომ მისი რეჟიმი არ ერიდებოდა „გონივრული ეჭვის საფუძველზე ადამიანების დაპატიმრებას, ადამიანი თუ დაიბრალებდა, ქურდი ვარო, ამისთვის ციხეში სვამდნენ, არა და მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ იცის სენტენცია: „თუ არ დაიჭირე, ქურდი არ არის!“ ანუ, ფაქტზე თუ არ დაიჭირე, ქურდობის ფაქტზე თუ არ წაასწარიო!

ჰო და, ეს გამჭვირვალობის კანონი უცხოეთიდან შემოსულ ფინანსებს გამჭვირვალეს გახდის, ანუ გაანათებს და მერე იმასაც მიადევნებს თვალს „ვინაც ჯერ არის“, სად რა და რამდენი დაიხარჯება. ეს კი სასიკვდილო საფრთხეს შეუქმნის იმას, ვინც ამ „შემოსავალს“ მალავს, ანუ ვის? ქურდებს.

გამოდის, რომ ისინი, რომლებიც ამ „ფინანსური ბნელეთის გამჭვირვალობის, ანუ განათების პროცესს ეწინააღმდეგება, ქურდია! ვისაც ლოგიკური აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, სხვა დასკვნას ვერ გააკეთებს!

თუმცა არსებობს სხვა დასკვნის გაკეთების საფუძველიც, ვინც ზემოაღნიშნულ ლოგიკას ვერ ხედავს, ის უიმედო სულელია!

ახლა მე გავაკეთებ ასეთ დასკვნას და გამამტყუნეთ: ის პარლამენტარები, რომლებიც ამ კანონს ეწინააღმდეგებიან, ან ქურდები არიან, ან სულელები!

ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთები პარლამენტის თითქმის ნახევარს შეადგენენ!

ახლა თქვენ გააკეთეთ დასკვნა: ის პარლამენტია ქართველი ხალხის საკადრისი, სადაც თითქმის ნახევარი ან ქურდია ან სულელი? ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი პარლამენტი არა მარტო საკადრისი არ არის, არამედ იგი არც იმსახურებს საკანონმდებლო ორგანოს სახელი ერქვას!..

...პარლამენტის ეს სხდომა გაიმართა იმ მიზნით, რომ განხილული და დაძლეული ყოფილიყო პრეზიდენტის სამგლე (უჰ, სალომე!) ზურაბიშვილის მიერ კანონპროექტზე დადებული ვეტო – ვფიქრობდი, ორიოდე სიტყვა მეთქვა ამ ვეტოზე, მაგრამ პრეზიდენტის ამ ვეტოურ მოსაზრებას რომ გავეცანი, მხოლოდ ერთი აზრი მომივიდა თავში, რომელიც ჩემზე ადრე და უკეთესად აინშტაინს მოუვიდა აზრად: „სამყაროს აქვს საზღვარი, ადამიანის სისულელე კი უსაზღვროა!“

ახლა კი უინსტონ ჩერჩილი უნდა შევაქო იმისთვის, რომ მან თქვა, დემოკრატია მმართველობის უსაზიზღრესი ფორმაა, ჩემი თავიც მინდა, შევაქო იმისათვის, რომ ამას წინათ გამოქვეყნებულ ჩემს ერთ პუბლიკაციას სათაურად სწორედ ჩერჩილის ზემოთ მოყვანილი გამონათქვამი მივეცი.

დიდი კაცების ნათქვამი სიბრძნეები მარადიული ჭეშმარიტებაა.

ზურაბ ცუცქირიძე,
ყოველივე გაუმჭვირვალობის მტერი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.
ტელ: 555 56-75-37

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲐᲥᲪᲘᲔᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲣ ᲥᲠᲗᲐᲛᲘᲗ!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲛᲓᲔᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ ᲐᲛᲝᲬᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲝᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲧᲘᲓᲘᲐᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲘᲮᲘᲖᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲣᲪᲮᲝᲢᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ. 30 ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲔᲚᲘᲐᲜ ᲮᲡᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲭᲙᲣᲐᲖᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲪᲮᲐᲓᲧᲝᲤᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ – ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲔᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲗᲣ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ, ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ, ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲔᲢᲐᲡᲢᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐ. ᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲣᲯᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲐ, ᲫᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲐᲠᲐᲐ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲕᲩᲜᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, 30 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲗᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲜᲐᲢᲝᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲠᲘᲡᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ?..

უნდა გავერკვეთ, რატომ წუხან ჩვენი პარტნიორები გამჭვირვალობის „რუსული“ კანონის გამო, რომლის მსგავსი ბევრმა ქვეყანამ ამ დღეებში მიიღო. უნდა გავერკვეთ, რა უნდა აშშ-ს, რა უნდა ევროპას, რატომ წუხან ქართველ ხალხზე, რომლის დემოკრატიასაც, მათი აზრით, ძირს უთხრის ივანიშვილის პარტია, რომელსაც სანქციებით ემუქრებიან. არადა, საქართველოს დემოკრატიას ძირი გამოუთხარა მათ მიერ „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილმა სააკაშვილის ნაცრეჟიმმა. საინტერესოა, რატომ ამადლიან ქართველ ხალხს თავისი აგენტურის – არასამთავრობოების და მათი სატელიტი პარტიების დაფინანსებას, 6 მილიარდზე მეტი რომ დაუჯდათ. რა ეტყობა ამ ქვეყნის ეკონომიკას, ხალხის ცხოვრებას ამდენი დახმარების? მათ უნდა იცოდნენ, რომ ქართველი ხალხი არ დაუშვებს ნაცრეჟიმის დაბრუნებას!

გამჭვირვალობის კანონი არც პატრონს უნდა, არც აგენტურას. არ უნდათ მრავალათასიანი არმიის კონტროლი და სახელის შებღალვა. ასე გაწირეს ქვეყანა, თუმცა, „ოცნებაც“ მათ დავალებებს ასრულებდა, ნაცებს ეჯიბრებოდა ამერიკისა და ევროპის სიყვარულში და კონსტიტუციაშიც მთავარ მიზნად და ორიენტირად ევროპა და ნატო ჩაწერა, რომლებიც გამჭვირვალობის კანონის გამო, სახელმწიფო გადატრიალებას უპირებენ. არავინ იცის, რა მოხდება, თუ „ოცნებამ“ ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვა – გაყალბების საბაბით, მეხუთე კოლონას

ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲔᲠᲔᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲓᲔᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲪ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐᲐ, ᲔᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ 2008 ᲬᲔᲚᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲕᲠᲩᲘᲗ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ. ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ, ᲛᲠᲣᲓᲔ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲜᲙᲔᲡᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲔᲒᲔᲑᲐ.

ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲐᲜᲘᲭᲝᲗ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ.

ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲤᲮᲘᲖᲚᲔᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲕᲧᲕᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, 30 ᲬᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲔᲚᲐᲓ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐᲪ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ... ᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲔᲦᲝᲗ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲘᲛᲠᲐᲕᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ... ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲠᲐᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲘᲒᲘ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲣ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲘᲐᲜ? ᲐᲜ ᲔᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ? ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲐᲛᲓᲔᲪ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲛᲘᲦᲛᲐᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲝᲠᲣᲛᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ. ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲠᲝᲛ ᲔᲛᲣᲨᲐᲕᲐᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲛᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲔᲚ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲒᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ. ᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲐ? ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲐᲪᲨᲘ ᲩᲐᲙᲚᲔᲡ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ, ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲥᲐ-ᲘᲥ ᲒᲐᲘᲔᲚᲕᲔᲑᲡ ᲤᲔᲮᲑᲖᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲔᲑᲨᲘ, ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲔᲑᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲔᲑᲨᲘ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲐᲮᲚᲝ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲨᲘ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ.

ᲓᲐᲣᲜᲓᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲝᲛᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲝᲛᲘᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲝᲛᲘᲐ ᲗᲐᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲙᲕᲐᲠᲘᲣᲛᲡ ᲓᲐᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲞᲘᲠᲡ ᲕᲐᲦᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲡᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ, – ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲡᲐᲓ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ, ᲔᲠᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲛ, ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲝᲕᲐᲜᲛᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ ᲘᲓᲒᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲔᲑᲗᲐᲜ, ᲡᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ? ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ – ᲙᲝᲜᲒᲚᲝᲛᲔᲠᲐᲢᲘᲐ. ᲓᲐᲘᲦᲐᲚᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲝᲛᲔᲑᲘᲗ, ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲬᲔᲚᲨᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ. ᲛᲐᲕᲐᲜᲛᲐ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲫᲔ ᲒᲐᲘᲮᲐᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲐᲓ, ᲒᲐᲒᲕᲮᲚᲘᲩᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲐ-ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲕᲔᲠᲘᲔᲗ, ᲛᲢᲠᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘ ᲫᲚᲐᲨᲘᲐ, ᲓᲐᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲘᲑᲐᲢᲝᲜᲔ, ᲐᲜᲣ ᲓᲐᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲙᲘᲓᲔ ᲡᲐᲛᲙᲕᲓᲠᲝ-ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ.

ᲐᲡᲔᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲓᲐᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲐ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲣᲬᲔᲠᲘᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲐᲠᲐᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲘᲦᲚᲐᲚᲐ ᲢᲧᲣᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ, ᲓᲐᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲘᲗ. ᲛᲐᲡᲝᲛᲠᲘᲕᲛᲐ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲫᲔᲛᲛ ᲔᲠᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ – ᲝᲗᲮᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲘᲦᲚᲐᲚᲐ ᲢᲧᲣᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ, ᲓᲐᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲘᲗ. ᲛᲐᲡᲝᲛᲠᲘᲕᲛᲐ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲫᲔᲛᲛ ᲔᲠᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲘᲡᲮᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐᲣᲓᲝᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ.

ᲔᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲔᲦᲝᲗ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲘᲛᲠᲐᲕᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ... ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲠᲐᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲘᲒᲘ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲣ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲘᲐᲜ? ᲐᲜ ᲔᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ? ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲐᲛᲓᲔᲪ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲛᲘᲦᲛᲐᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲝᲠᲣᲛᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ. ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲠᲝᲛ ᲔᲛᲣᲨᲐᲕᲐᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲛᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲔᲚ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲐᲡᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ „ᲠᲣᲡᲣᲚ“ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲐᲛᲝᲤᲐᲠᲔᲖᲣᲚᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲛ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲔ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲑᲘᲗ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲑᲐᲠᲘᲙᲐᲓᲔᲑᲖᲔ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ, ᲐᲡᲔᲗᲛᲐ ᲥᲣᲩᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲣᲚᲛᲐ ᲕᲐᲘᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲦᲣᲞᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ-ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ. „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲠᲩᲮᲣᲚᲗᲐᲜ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲛᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲒᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲡ ᲓᲐᲫᲐᲖᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲡᲙᲐᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲩᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲕᲔ ᲓᲐᲣᲓᲝᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲖᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲒᲖᲐ, ᲒᲖᲐ ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲐᲚᲘ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲠᲐᲚᲐᲕᲐ,
ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲢᲔᲚ: 568 41 71 58

აკაკი ჩხენკელის წერილი აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო და არა მხოლოდ...

წელს აკაკი ჩხენკელის დაბადების 150 წლის იუბილეა. აკაკი ჩხენკელი (1874–1959) ჩვენი ქვეყნის მეოცე საუკუნის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, რომლის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება (1918 წლის 26 მაისი), თანამედროვე ქართული დიპლომატიის საფუძვლის ჩაყრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის — პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნა.

„მოქალაქენო! საქართველოს ეროვნული საბჭოს მინდობილობით, ბედნიერება მაქვს, გავხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, მიმართა 1918 წლის 26 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის გახსნაზე შეკრებილ საზოგადოებას ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრმა აკაკი ჩხენკელმა, ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა, ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიასა და მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივერსიტეტში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლად შეასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას!“

პარტიული მოღვაწეობის მიუხედავად, აკაკი ჩხენკელი ყოველთვის რჩებოდა ისეთ პოლიტიკოსად, რომელიც საკუთარი პარტიის ინტერესებზე მაღლა სახელმწიფოსა და ერის ინტერესებს აყენებდა, ამიტომაც ითვლებოდა ჩხენკელი პირველი რესპუბლიკის ეპოქაში ქართული სოციალ-დემოკრატიის ყველაზე ზომიერ წარმომადგენლად.

საქართველოს დამოუკიდებლობა — აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას... საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას! სწერდა აკაკი ჩხენკელი ნოე ჟორდანიას 1918 წლის 15 მაისს და მოუწოდებდა, არ დაეყოვნებინა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

აკაკი ჩხენკელი 1918 წლის 26 მაისიდან შეუდგა ქვეყნის მთავარი დიპლომატის მოვალეობას და გახდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი. მოგვიანებით, პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების პარალელურად, მან თანამდებობა დატოვა და აქტიურად ჩაერთო ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში. მისი განსაკუთრებული დამსახურებაა აჭარის მუსლიმი ქართული მოსახლეობის დაახლოება სამშობლოსთან, მან პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მიზნად დაისახა რუსეთის იმპერიის მხრიდან მომავალი შესაძლო რეპრესიებისგან აჭარის მუსლიმი ქართველობის გადარჩენა, ამიტომაც პირველი რესპუბლიკის ეპოქაში, ის ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი იყო აჭარაში.

აკაკი ჩხენკელი 1921 წლის დასაწყისში დაინიშნა საქართველოს ელჩად საფრანგეთში, თუმცა მალევე, თებერვალში, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის გამო, საქართველოს დევნილი მთავრობის წარმომადგენლობა დაეკისრა და მოღვაწეობის შემდგომი წლები საქართველოს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას და დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ლეგიტიმურობის აღიარებას მიუძღვნა.

აკაკი ჩხენკელი ემიგრაციაში არ იყო ჩართული პარტიათაშორის დაპირისპირებაში, უპირატესობას ანიჭებდა ეროვნულ ინტერესებს, რაც კარგად ჩანს მის პირად დღიურებში.

აკაკი ჩხენკელი იყო უპირველესად საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დიპლომატი და მისი სახელი ასოცირდება არა რომელიმე პარტიასთან, არამედ მეოცე საუკუნის ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობასთან, რასაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა.

2018 წლის 28 სექტემბერს აკაკი და კიტა ჩხენკელების მემკვიდრეობის მფლობელების — თომას და მარინა კრაიერებისა და თომას ჰოიზერმანის ინიციატივით, შვეიცარიის საელჩოს, ასევე, „წყალი მარგებელის“ დამფუძნებლის მიხეილ სვიმონიშვილის შემწეობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა აკაკი და კიტა ჩხენკელების არქივი, რომელიც თსუ ბიბლიოთეკაში ინახება. არქივი, 1181 დოკუმენტისგან შედგება და მოიცავს, როგორც ოფიციალურ და დიპლომატიურ მიმოწერას, ასევე, პირად წერილებს, ფოტომასალასა და აკაკი ჩხენკელის დღიურებს.

თსუ-ს უნივერსიტეტამდე არქივმა საკმაოდ გრძელი გზა განვლო. აკაკი ჩხენკელმა, არქივი უანდერძა უმცროს ძმას, კიტა ჩხენკელს (1895–1963), რომელიც ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი და შვეიცარიაში ქართველოლოგიური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. კიტა ჩხენკელმა კი გარდაცვალების შემდეგ თავის მოსწავლესა და ციურიხის უნივერსიტეტის თანამშრომელს, ლეა ფლურის გადასცა. ფლურის გარდაცვალების შემდეგ არქივი, გამომცემლობასთან ერთად, მარიანა და ტომას კრაიერების, ტომას ჰოიზერმანისა და მიხეილ სვიმონიშვილის მფლობელობაში გადავიდა.

არქივის მფლობელებს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდათ აკაკი და კიტა ჩხენკელების მემკვიდრეობის საქართველოში დაბრუნების სურვილი, თუმცა მათ მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ქვეყანაში არსებული არასტაბილური ვითარების გამო, არსებობდა არქივში დაცული უნიკალური დოკუმენტების განადგურების საფრთხე.

თსუ-ს ბიბლიოთეკაში დაცული არქივიდან მკითხველს ვთავაზობ აკაკი ჩხენკელის წერილს, რომელიც აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაუწერია, მაგრამ, როგორც მისივე მინაწერიდან ირკვევა, არ დაუსტამბავთ პარტიულ ორგანოში. წერილი ოთხ გვერდზე მელნით არის შესრულებული (თსუ ბიბლიოთეკა, ჩხენ. 188). ავტორს სათაურად უწოდებია: „ხელთუქმნელი ძეგლი“, მაგრამ თავადვე გადაუხაზავს. აკაკი წერეთლის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარებისა და პოეტის ღვაწლის შესახებ საუბრის გარდა, ამ პატარა წერილში აკაკი ჩხენკელი საუბრობს მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული სალიტერატურო ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, მწერალთა გაერთიანებაზე, რომლის დაარსებაზე ფიქრი მეოცე საუკუნის ათიან წლებში გახდა აქტუალური. ჯერ კიდევ 1908 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ იქმნებოდა სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება . ამავე წლის სექტემბერში გაიმართა ამ საზოგადოების დამფუძნებელი კრება. საზოგადოების საპატიო წევრის წოდება აკაკი წერეთელს მიანიჭეს. ქართველ მწერალთა გაერთიანების ისტორია რამდენიმე ეტაპად იყოფა, რომლის შესახებ საუბარი სცილდება ჩვენი წერილის მიზანს (ამ თემაზე, სხვა პუბლიკაციებზე რომ არაფერი ვთქვათ, მონოგრაფიული ნაშრომი დაგვიტოვა რევაზ კვერენჩხილაძემ, „საქართველოს მწერალთა კავშირი 1917 1932“.); ერთი უდავოა, მეოცე საუკუნის ათიან და ოციან წლებში ქართველ საზოგადოებრიობას მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა ქართველ მწერალთა გაერთიანების შექმნა. ამ საკითხს ეხმიანება აკაკი ჩხენკელიც აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ სტატიაში. ნიშანდობლივია, რომ ამ წერილშიც ნათლად იკვეთება აკაკი ჩხენკელის როგორც ზეპარტიულად, საერთო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოღვაწის პორტრეტი. მაშინ, როდესაც აკაკი ჩხენკელი ჯერ კიდევ 1915 წელს ქართველ მწერლებს მოუწოდებდა, „შევიკრიბნეთ ერთ ეროვნულ ორგანიზაციაშიო“, ორი წლის შემდეგ, როდესაც ქართველ მწერალთა კავშირი ფუძდებოდა, სხვა მოწინააღმდეგეებთან ერთად, განსაკუთრებით აქტიურობდა გაზეთი „ერთობა“, სოციალ დემოკრატთა ორგანო. სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მწერალთა კავშირთან დაკავშირებითაც განსხვავდებოდა აკაკი ჩხენკელისა და მისი პარტიის წარმომადგენლების შეხედულება.

ზურაბ გაიპარაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

ჩქარა ერთი თვე გახდება, რაც ჩვენმა დიდმა მგოსანმა აკაკიმ სამუდამოთ მიიძინა და თავის ტურფა სამშობლო სამგლოვიარო ძაძებში გახვია.

ქართველმა ერმა ამ მოკლე ხანში არა ერთი და ორი ღირსეული შვილი დაკარგა, მაგრამ ის დანაკლისი, რომელიც მან ამა წლის 26 იანვარს განიცადა, განსაკუთრებულია არა მარტო გარეგნულათ, არამედ არსებითაც. აკაკი ქართველ ერისათვის არა მარტო „დაუგვირგვინებელი მეფე“ იყო, როგორც ეს მას უწოდა ერთმა რუსის კორესპონდენტმა, არამედ მისი არსის მუსიკალური განსახიერებაც, მის სპეტაკ ზრახვათა მესაიდუმლეც.

სამშობლომ მოიხადა თავისი ვალი დიდებული ცხედრის წინაშე. მის ირგვლივ შემოკრება მთელი ერი, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. იყო წუთი, როცა ამოივსო ორმო მდიდარსა და ღარიბს შორის, თავადსა და გლეხს შორის, წარჩინებულსა და გლახაკს შორის და ამის დიადი სიმბოლო იყო ის ერთათ ერთი დაფნის გვირგვინი, რომელიც მგოსანს თავს დაადგა ქართველმა ერმა.

მხოლოდ წუთი, რა თქმა უნდა, მაგრამ მით უფრო დაუვიწყარი ჩვენთვის. დიდი ადამიანის განსაკუთრებული მხარე სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ის გვავიწყებს თავისი სიკვდილით წარსულსა და აწმყოს და შეუმჩნევლათ მომავალში გადაგვასკუპებს, როცა მართლაც არ იქნება მდიდარი და ღარიბი, თავადი და გლეხი, წარჩინებული და გლახაკი. ვთქვათ, ეს ილუზია არის, მაგრამ მით უფრო უძვირფასესი ჩვენთვის, ვინაიდან ჩვენ ვცდილობთ რეალობად ვაქციოთ ის.

აკაკიმ შეგვყარა ერთათ სიკვდილით. აკაკიმ უნდა შეგვყაროს ერთათ სიცოცხლით.

აკაკი ცოცხლობს ჩვენში. იცოცხლებს მანამდის, სანამ ჩვენი გული ფეთქს. ასეთია გრძნობა ქართველის, განურჩევლად მდგომარეობისა.

მაგრამ მარტო ხსოვნა არ კმარა, არ კმარა ცრემლებიც.

ჩვენ გვინდა თვითონ ვიცოცხლოთ. ერი კი ცოცხლობს მის მწერლობაში, ერის წიგნიერი და კულტურული დაწინაურება გამოიცნობა და ფასდება მისი მწერლობით.

ჩვენ გვყავდა ჩვენი შოთა და აკაკი, ჩვენ გვყავდა და გვეყოლება სხვებიც, ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულნი, – ეს არ არის ჩვენზე დამოკიდებული. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თვითონ გულზე ხელი უნდა დავიკრიბოთ და არაფერი არ ვიღონოთ ეროვნულ მწერლობის გასაძლიერებლათ.

ჩვენ გვმართებს ხელი ჩავსჭიდოთ ყველა იმ საშუალებებს, რომელიც ამ მიზანს მიგვაღწევინებს. ერთი ასეთი თანამედროვე საშუალება არის ორგანიზაცია. ვინ არ იცის დღეს ორგანიზაციის დიადი მნიშვნელობა? – უადგილოა ამის მტკიცება.

ჩვენ უნდა დავაარსოთ ეროვნული ორგანიზაცია: ქართველ მწერალთა საზოგადოება.

ასეთი საზოგადოება არსებობს თვითოეულ ერში, მან გაუწია და უწევს დაუფასებელ სამსახურს მშობლიურ მწერლობას, ზოგან მისი ცენტრალური ორგანოები მეცნიერების და ხელოვნების ტაძრებად იქცნენ. დარჩა მხოლოდ ჩვენი ერი, რომელიც ჩამორჩენია სხვა ერებს ამ მხრივ.

ეგრეთ წოდებულ მპყრობელ ერის მწერლობა უზრუნველყოფილია, მის განვითარებას პირდაპირ თუ არაპირდაპირ ემსახურება მთელი სახელმწიფო მექანიზმი. სულ სხვა მდგომარეობაა ჩაგრულ ერის მწერლობისა: მას გაძლიერების ნაცვლათ ქვეყნიდან აღგვას უქადიან.

მით უფრო დიდია ჩვენი მოვალეობა მშობლიურ მწერლობის მიმართ. ჩვენ უნდა ჩავდოთ ამ საქმეში მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი უნარი, მთელი ჩვენი გამჭრიახობა. ჩვენ უნდა გავფანტოთ, უნდა გავაბათილოთ ის იჭვნეულობა, რომელიც თან სდევს, სამწუხაროთ, ჩვენში ყოველ ახალ საზოგადოების დაარსებას. დავიწყოთ საქმე, მაგრამ ისე კი, რომ თვითეული ნაბიჯი მისი მსვლელობისა გვიორკეცებდეს მუშაობის ხალისს, პასუხისმგებლობის გრძნობას.

მე არ მაქვს სახეში, რა თქმა უნდა, ამ თავითვე მივაწოდოთ მკითხველს განზრახული საზოგადოების მზამზარეული წესდება, ან კიდევ შემოვფარგლო მის დანიშნულება–მოვალეობათა საზღვრეგი. ეს კითხვები უნდა გახდეს ცალკე სჯა–ბაასის საგნად, რომელშიდაც მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ჩვენმა პრესამ, განურჩევლათ მიმართულებისა.

მხოლოდ რაც ჩვენთვის დღესვე ცხადი უნდა იყოს, ეს ის, რომ ხსენებულ საზოგადოებას თავიდან უნდა ავაცილოთ ყოველგვარი მიუროკრატიზმი და კასტიური სუნი. ის უნდა იქნეს ნამდვილი ხალხური, თავისუფალი, სადა, მზგავსი აკაკის პოეზიისა, რომლის სახელით მას ვაარსებთ. საზოგადოება ღია უნდა იყოს არა მარტო პროფესიონალურ მწერლებისთვის, არამედ ყველასთვის, ვისაც კი გული შესტკივა მშობლიურ მწერლობის აყვავებისთვის.

ძნელია იმის მოთვლა, თუ რა და რა საქმეები უნდა დაეკისროს საზოგადოებას. ყოველ შემთხვევაში, მისი სარბიელი უნდა იქნეს რაც შეიძლება ფართე და შეუზღუდველი. საზოგადოება ალბათ განაწილდება სექციებად ცენტრში, ფილიალებად პერიფერიებში.

ის გარემოება, რომ საზოგადოება იმავ დროსვე უნდა იქნეს იურიდიული პიროვნებაც და მას უნდა დაეკისროს აგრეთვე ზრუნვა მწერლების და მათი ქვრივ–ობლების ნივთიერი დახმარებისათვის,– ეს თავის თავათ იგულისხმება.

მე ვთქვი, აკაკი სამარადისოთ იცოცხლებს ჩვენში მეთქი; ახლა კი ვიტყვი: ჩვენც უნდა ვიცოცხლოთ მასში. შევიკრიბნეთ ერთ ეროვნულ ორგანიზაციაში და ვემსახუროთ იმ საქმეს, რომელსაც ამდენი ამაგი დასდო აკაკიმ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვითეული პარტია, ჯგუფი ან პიროვნება კარგავს ამით დამოუკიდებლობას, თავისუფლებას. ცხოვრება ერთიმ რთულია და სერიოზული, რომ მის სტიქიასთან ხუმრობა გვმართებდეს. მთლიანობა მრავალფეროვნებაში, განვითარება წინააღმდეგობაში, ზავი ბრძოლაში – აი ცხოვრების კანონი!

ფილოსოფოსმა კანტმა სთქვა „შენ მოვალე ხარ, მაშასადამე შენ ძალგიძს“. ჩვენ გვინდა ჩვენის თვითმოქმედებით, ჩვენის შრომით, ჩვენის მუყაითობით დავამტკიცოთ, რომ აკაკი ჩვენთვის მარტო „დაუგვირგვინებელი მეფე“ არ არის, არამედ მეტი, გაცილებით მეტი.

აკაკი ჩხენკელი

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ!

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ" მოგიტანათ უვიზო რეჟიმი. დღეს რომ თავისუფლად გადაადგილდებით ევროპაში და არ გიწევთ რიგებში დგომა და სავარაუდო უარი ევროპული სახელმწიფოების საკონსულოებიდან, ეს არის ჩვენი დამსახურება, ამიტომ ეს უნდა დააფასოთ, – ასე უპასუხა „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტის კითხვას, რომელიც აშშ-ის მხრიდან სავიზო შეზღუდვებს ეხებოდა.

„მე ვარ პარტიის თავმჯდომარე. პროტოკოლის მიხედვით, (რაც დაწესებული, მიღებული დიდი ხნის პრაქტიკაა) ისეთ ღონისძიებებზე არ და ვერ გამოვჩნდებოდი, სადაც არ მეკუთვნოდა გამოჩენა. მე როდესაც მაქვს გასვლითი ღონისძიებები და ვხვდები ჩვენს აქტივს, ყოველთვის მზად ვარ კითხვებზე პასუხისთვის. კანონი მიღებულია, მოემზადეთ არჩევნებისთვის და წყნარად იყავით", – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ის ადამიანები, რომლებიც სალომე ზურაბიშვილს მოიხსენიებდნენ რეზიდენტად და აღარ გავაგრძელებ, რა ეპითეტებით მოიხსენიებდნენ, დღეს მის გარშემო არიან გაერთიანებულნი და მათ თავად ჩაანაცვლეს საკუთარი ბელადი ახალი ბელადით, სალომე ზურაბიშვილით და ამ რაღაც დიდ გაუგებრობაში არიან... – ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა.

– რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის ახალ როლს, მას არ შეურჩევია ეს როლი თავად, მას განუსაზღვრეს ეს როლი. ჩემი გადმოსახედიდან ეს ძალიან დიდი გაუგებრობაა, საერთოდ, რა ქარტიაზე ლაპარაკობს ადამიანი, რომელსაც რამდენიმე თვე დარჩენია პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე. ერთი რამ მინდა საზოგადოებას შევახსენო: ჩვენ კარგად ვხედავთ, რა ხდება ამ ქარტიის გარშემო, ადამიანებს, ოპოზიციურ პარტიებს საერთოდ დაკარგული აქვთ თავმოყვარეობა. რაღაც დიდ გაუგებრობაში არიან. ჯერ ერთი, მოვისმინე მისი ახალი შეთავაზება, რომ ჯერ თურმე უნდა მოუგონ ქართველ ხალხს და „ქართულ ოცნებას" ამ არჩევნებში, ამ ქაოსმა უნდა მოიგოს, ამ ომის გაერთიანებამ უნდა მოიგოს, შემდეგ უნდა დაანგრიონ სახელმწიფო ინსტიტუტები, შემდეგ ახალ არჩევნებში უნდა შეიყვანონ ქვეყანა ერთი წლისთავზე... ქართველმა ხალხმა გააზრებულად აირჩია მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება. უამრავი გამოწვევა გვაქვს, ჯერ კიდევ დაუძლეველია ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციის პრობლემა, სხვა უამრავი პრობლემა გვაქვს, ამიტომ ამ პრობლემებზე არის საჭირო ფოკუსირება და მეტი კონცენტრირებული მუშაობა"...

ᲔᲜᲢᲝᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲘ

ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲐ... ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ „ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ"!

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ უცხოური აგენტების შესახებ კანონი სინამდვილეში ძალიან ამერიკულად გამოიყურება" – ამ სათაურით სტატიას გამოცემა **Brussels Signal**-ი აქვეყნებს.

სტატიის ავტორი **ᲔᲜᲢᲝᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲘ** საქართველოში „უცხოური აგენტების კანონის" მიღებაზე დასავლეთის პასუხს გასაკვირს უწოდებს და აღნიშნავს, რომ კანონის ოპონენტებმა მას „რუსული" შეარქვეს.

– ფაქტობრივად, კანონი მსგავსია ამერიკის **FARA**-სი, რომელიც მოქმედებს 1938 წლიდან და გულისხმობს, რომ ამერიკულ პოლიტიკურ საქმიანობაში უცხოური წყაროებიდან შემოსული ფული უნდა იყოს გამჟღავნებული. დასავლეთში გავრცელებული პრაქტიკაა ისეთი შეზღუდვები აქტივობების საგარეო დაფინანსებაზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურად ან მიზნად ისახავდეს დებატებზე გავლენის მოხდენას.

მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რას ნიშნავს საქართველოში „სამოქალაქო საზოგადოება". სამოქალაქო სექტორში არაერთი ორგანიზაცია თავისი შინაარსით პოლიტიკურია, თუმცა ოფიციალურად „პოლიტიკური" არაა. მაგალითად, ქართული ორგანიზაცია „სტუდია მონიტორი", რომელიც თავს საგამოძიებო გამოცემას უწოდებს, წლების განმავლობაში აქვეყნებდა ათობით საგამოძიებო მასალას მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების" მხრიდან სავარაუდო დარღვევების შესახებ. ამაში უკანონო არაფერია, ჟურნალისტებმა უნდა გამოიძიონ საკუთარი მთავრობის საქმიანობა. თუმცა ეს ორგანიზაცია ფინანსდება მათ შორის ევროკავშირის წარმომადგენლობის, აშშ-ის საელჩოს და ჯორჯ სოროსის ფონდის მხრიდან. ნიშნავს თუ არა ეს, რომ „სტუდია მონიტორი" ტყუის? არა, ეს აუცილებლად ასე არაა, მაგრამ არც **Voice of Europe**-ი ავრცელებდა სიცრუეს, როდესაც აქვეყნებდა სტატისტიკას მიგრანტების მხრიდან ძალადობის შესახებ.

ისინი, ვინც საქართველოში მიღებულ კანონს ეწინააღმდეგება, ამბობენ, რომ ვიღაცისგან ფულის აღება არ ნიშნავს, რომ შენ გააკეთებ ყველაფერს, რასაც ისინი მოგთხოვენ. ეს არგუმენტი შეიძლება მივიღოთ მაშინ, როდესაც ამაზე არ ფიქრობ. როდესაც ფული ხელიდან ხელში გადადის, არსებობს მოლოდინი, რომ სანაცვლოდ რაღაც უნდა მიიღო. შესაბამისად, რატომ იწვევს ეს კანონი ასეთ წინააღმდეგობას? თუ იცნობთ ქართულ პოლიტიკას, პასუხიც გეცოდინებათ. დასავლური დაფინანსება არის საქართველოს მოსახლეობაზე გავლენის მოხდენის ერთადერთი საშუალება, იმიტომ რომ ოპოზიცია – რომელიც უთავო ქათამივით იქცევა – ჯამბაზების შოუს წარმოადგენს. ეს უბრალოდ არასერიოზული ხალხია და უცხოური ფულის გარეშე ოქტომბრის მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების იმედი არ ექნებოდათ.

ყველაზე გასაკვირი ისაა, რომ კანონის მოწინააღმდეგეები ფაქტობრივად აღიარებენ, რომ დასავლური ენჯოიები „ქართული ოცნების" დამარცხების ერთადერთი საშუალებაა და მათ უნდა მიიღონ უცხოური ფული, რათა ეს მოხდეს. გასაგებია, რომ ოპოზიციას გამარჯვება სურს და მათ იციან, რომ დასავლური ფული მათ ამაში დაეხმარება.

როგორც ჩანს, „ქართული ოცნება" ამ კანონმდებლობის მიღებით უბრალოდ ცდილობს, უზრუნველყოს, რომ უცხოურმა ფულმა ვერ შეასრულოს საიდუმლო როლი მათი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში. ისინი არც კი ცდილობენ უცხოური ფულის აკრძალვას: კანონი უბრალოდ მოითხოვს, რომ მათ, ვინც დაფინანსების დიდ ნაწილს იღებენ უცხოური წყაროებიდან, ხალხს აცნობონ, საიდან მოდის მათი ფული.

თუმცა დასავლელი ლიდერები თითქოს შოკირებულები არიან და ვერ ხვდებიან, რატომ სურს საქართველოს ამერიკული FARA-ს კოპირება. არ უნდა გაუკვირდეთ. იმ პანიკის ფონზე, რომელმაც მოიცვა დასავლეთი ბოლო წლების განმავლობაში საგარეო ჩარევის გამო, შეიძლება იმის თქმაც, რომ საქართველომ ეს ჩვენგან ისწავლა", – წერს სტატიის ავტორი.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

– ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ორი წელი ამ ყველაფერზე ველაპარაკებოდი და ვაფრთხილებდი ევროკავშირის და აშშ-ის ყველა დონის წარმომადგენელს. სამწუხაროდ, საპასუხოდ მხოლოდ ზედაპირულ და დაუდევარ დამოკიდებულებას ვიღებდით.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა უცხო ქვეყანამ რადიკალიზმის ამ შემთხვევებიდან შესაბამისი დასკვნები გამოიტანოს და დაფინანსების პოლიტიკას გადახედოს. მათი მხრიდან დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა იქნებოდა ერთ-ერთი ზომა ამგვარი შემთხვევების პრევენციისთვის," – წერს პარლამენტის თავმჯდომარე.

ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲡ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ.

საუბარია ზოჰრე ელაჰიანზე, რომელიც გახდა პირველი ქალი, რომელიც ირანის პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირდა.

მანამდე ირანის საარჩევნო ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ სამი ქალი არ დაარეგისტრირეს, რადგანაც ისინი „კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებდნენ".

ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი სულ 17 ადამიანმა გამოთქვა.

მათ შორის არის თეირანის მერი ალირეზ ზაკანი, ირანის საკანონმდებლო ორგანოს ყოფილი თავმჯდომარე – ალი ლარიჯანი, ირანის ცენტრალური ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი აბდოლნასერ ჰემათი, ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლეს საბჭოში ქვეყნის სულიერი ლიდერის წარმომადგენელი საიდ ჯალილი, ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ყოფილი მეთაური ვაჰიდ ჰაგანიანი და ირანის პარლამენტის ექვსი მოქმედი და ხუთი ყოფილი წევრი.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები 28 ივნისს გაიმართება.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲙᲐᲓᲠᲔᲑᲔᲚᲝ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲔᲑᲝ!



ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲖᲔᲠᲔᲙᲘᲫᲔ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗᲐᲪ, „ᲢᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ" ᲧᲐᲚᲑᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲠᲚᲔᲑᲘᲗ, ᲛᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲝᲕᲐᲜ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲨᲛ ᲫᲛᲐᲖᲔ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐ.

„ᲐᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲝᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲔᲑᲡ, ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲣᲗᲮᲠᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲩᲐᲚᲘᲩᲔᲑᲗ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲗ! ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔᲖᲔ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐ �გᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ 1% ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲝᲛ �გᲥᲝᲜᲓᲔᲗ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ, ᲐᲡᲔᲗ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲗᲥᲕᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲙᲐᲓᲠᲔᲑᲔᲚᲝ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲔᲑᲝ!" – ᲬᲔᲠᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲖᲔᲠᲔᲙᲘᲫᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ.

რამინ მიქაბერიძის „სიკეთის ხე“ მუდამ იყვავილებს!

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანსამბლ „მართვეს“ ინიციატივით, რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ დარბაზში გამოჩენილი მომღერლისა და ლოტბარის რამინ მიქაბერიძის საიუბილეო საღამო გაიმართა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, სახელმწიფოს რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე, ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებლები ვანო ჩხარტიშვილი და ნანა

გოთუა, ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე ლალი სეთურიძე, სასულიერო პირები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ანსამბლები: „რუსთავი“, „ერისიონი“, „მართვეს“ პირველი და ახლანდელი თაობა, პატრიარქის ნათლულთა გუნდი „საგალობელი“, ბათუმის კულტურის ცენტრის ვაჟთა ანსამბლი, საქართველოს უსინათლოთა კავშირთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „კრწანისი“, მიქაბერიძეების საოჯახო ანსამბლი. მათ ბატონ რამინთან ერთად შეასრულეს ქართული მრავალხმიანი სიმღერები. ეკრანზე მაყურებელმა იხილა გამოჩენილი ქართველი ხელოვანების: ანზორ ერქომაიშვილის, გომარ სიხარულიძის, ბიძინა კვერნაძის, თენგიზ არჩვაძის, კახი კავსაძისა და სხვათა მოგონებების ჩანაწერები რამინ მიქაბერიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. საღამოს რეჟისორი იყო გიორგი სიხარულიძე.

ღონისძიებაზე წაიკითხეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მილოცვა ბატონი რამინისადმი.

რამინ მიქაბერიძე მოღვაწეობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში (მოგვიანებით – „ერისიონი“, 1967-1978), საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში „რუსთავი“ (1979-2002), ვაჟთა ვოკალურ ანსამბლში „გორდელა“. მას, ანზორ ერქომაიშვილთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის „მართვეს“ ახალი თაობების აღზრდასა და შემოქმედებით განვითარებაში. მისი აღზრდილი თაობები დღეს წარმატებით საქმიანობენ ფოლკლორულ გუნდებში და უკვე თავად ხელმძღვანელობენ ანსამბლებს.

აღსანიშნავია, რომ რამინ მიქაბერიძემ ბათუმში ჩამოაყალიბა ბავშვთა სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლი და არაერთი თაობა აზიარა ქართულ კულტურას. მან შვილთან მაია მიქაბერიძესთან ერთად შექმნა ბავშვთა ფოლკლორული გუნდი „საგალობელი“.

რამინ მიქაბერიძის ღვაწლი არაერთი პრემიითა და ჯილდოთია დაფასებული. ის არის საქართველოს სახალხო არტისტი; საქართველოს სახელმწიფო, ალბერტ შვაიცერის საერთაშორისო და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების, ასევე – პრემია „საგურამოს“ ლაურეატი ნომინაციაში „ხელოვნება“; დაჯილდოებულია ღირსების ორდენით; 2014 წელს მიენიჭა ქართული კულტურის რაინდის წოდება, 2015 წელს – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ჯილდო – „ხელოვნების ქურუმის“ წოდება, 2018 წელს – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის, სახელობის პრემია „სიკეთის ხე“. მისი სახელი შესულია როგორც ქართული, ასევე მსოფლიო მუსიკის ენციკლოპედიებში.

2019 წლის 17 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის წინ რამინ და მაია მიქაბერიძეების სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. რამინ მიქაბერიძე არის თბილისის, ბათუმისა და ჩოხატაურის საპატიო მოქალაქე.

ვეტერან სენაკელ სპორტსმენს, ელგუჯა გვასალიას სენაკის მერია დააფინანსებს!

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე სანა ოდიშარია და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის ძიუდოს და სამბოს დამსახურებულ მწვრთნელ-მასწავლებელს, ვეტერან სპორტსმენს, ელგუჯა გვასალიას შეხვდნენ და ევროპის თასზე მოპოვებული გამარჯვება მიულოცეს.

მიმდინარე წლის მაისის თვეში, ქალაქ თბილისში გამართულ ტურნირზე, ელგუჯა გვასალია ევროპის თასის ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

სენაკელი ფალავანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით 6 ივნისს ბოსნიაში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრება.

ვეტერან სპორტსმენს ელგუჯა გვასალიას ძიუდოში ასევე არაერთი სპორტული მიღწევა და ტიტული აქვს მოპოვებული: არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, მსოფლიო და ევროპის ბრინჯაოს მედლების მფლობელი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში.

ზაზა ჯიბლაძე პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე იმსაჯებს

მსოფლიოს ჭიდაობის გაერთიანებამ პარიზის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მომუშავე მსაჯთა ოფიციალური სია გამოაქვეყნა.

50 არბიტრს შორისაა უმაღლესი საერთაშორისო კატეგორიის ქართველი არბიტრი ზაზა ჯიბლაძეც.

აღსანიშნავია, რომ ზაზა ჯიბლაძეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე მსაჯობის გამოცდილება აქვს.

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს საფრანგეთის დედაქალაქი 26 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით უმასპინძლებს.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველი აუქციონს ალიკა მიტიჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: გურჯაანი, ს. ველისციხე (საკადასტრო კოდი: 51.07.63.351)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 56757.8 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 3 ივნისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 14 ივნისი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP98968824; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 989688

6. მოვალე: ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78;

მანანა სარაშვილი (პ/ნ 13001047977), გურჯაანი, ს. ველისციხე, მე-5 ქუჩა №6

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP98968824; ლოტის ნომერი: 989688).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 14 ივნისის 12:00 საათამდე.

◎ ახალი ეტაპი

ჩინეთში – უვიზოდ!

2024 წლის 28 მაისი ღირსშესანიშნავ თარიღად ჩაიწერა ქართულ-ჩინურ ყოვლისმომცველ სტრატეგიულ ურთიერთობებში, რადგან ამ დღეს განხორციელდა პირველი უვიზო ავიარეისი თბილისი – ურუმჩი.

მომავალი თანამშრომლობის სიხშირეა კვირაში 7(!) ფრენა ორივე მიმართულებით და იგი ხორციელდება ჩაინა სოუთენდ ეარლაინზის ლაინერებით, სამომავლოდ კი განზრახულია დანიშნულების სხვა პუნქტების ათვისებაც, მათ შორის – პეკინამდე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ კონტიგენტის ჩამონათვალი, რომელსაც საშვილიშვილო სიკეთით სარგებლობა მოუწევს: მიზნესწრეების, ხელოვნების, მეცნიერებისა თუ სპორტის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ, სხვათა შორის ისტორიული ბორტის მგზავრთა შორის იყვნენ **ვიქტორ სანიკიძის** სახელობის აკადემიის კალათბურთელები, რომლებიც ცისქვეშეთში ატლასის ჩემპიონატში ითამაშებენ. სწორედ ინტენსიური კონტაქტები და იქაურ გრანდიოზულ ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება გვესახება იმ პერსპექტივად, პრიორიტეტად რომ უნდა იქცეს და პროგრესის შეუქცევად პროცესს შეუწყოს ხელი.

მოკლედ, მშვიდობით, ვიზებო!

ზემოთ საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ვახსენეთ და სიამოვნებით გაუწყებთ, რომ ამჟამად ჯვაროსანთა ღირსეულმა კაპიტანმა **თორნიკე შენგელიამ** იტალიის სერია ა-ს გადამწყვეტ ნახევარფინალურ პლეიოფში მორიგი სპექტაკლი დადგა და პარტნიორები პირადად გაიყვანა ფინალში, სადაც მილანთან რევანშის აღებას შეეცდება შარშანდელ სატიტულო ბრძოლაში დამარცხებისთვის.

ვენეცია – ვირტუსი 79:96 (სერია – 1:3). **შენგელიას მონაგარი:** სარეკორდო 29 ქულა (!), 3 მოხსნა და 2 პასი 32 წუთში. ყოჩაღ!

◎ რაც კარგია, კარგია

ადამიანი თავის ადგილზე

მაშინ, როცა ანაკლიის სტრატეგიული ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საკითხი ავტორიტეტული ჩინური კომპანიის სასარგებლოდ გადაწყდა, რომელსაც პრონაცური სადეზინფორმაციო საშუალებები სანქცირებულად გვასაღებდნენ, იქვე ახლოს – წალენჯიხაში ერთი კარგი ქართული საქმე გაკეთდა, ოღონდ – პოლიტიკური საფარველით.

როგორც მოგეხსენებათ, ტურინის იუვენტუსს მსოფლიოში 70-მდე ბავშვთა აკადემია აქვს, მათგან ერთ-ერთი კი ამიერიდან საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს ასეულობით მოზარდი ფეხბურთელის დაოსტატებაზე იზრუნებს, ხოლო პერსპექტივაში მორიგმა ფილიალმა თბილისიც მალე უნდა დაამშვენოს.

აღნიშნული საშვილიშვილო იდეა იმითაც გახლავთ დასაფასებელი, რომ გახსნის ცერემონიალზე ენგურსგაღმა საქართველოდანაც ჩამოვიდა 20-მდე ნორჩი ტალანტი. სწორედ ყველაფრის გათვალისწინებით, უკვე მერამდენედ, მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებთ ჩანაფიქრის ავტორს **მამუკა ხაზარაძეს**, ვინც ამჯერად მადლს მარილიც მოაყარა და მომავალ ვარსკვლავებთან თვით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ, ბებერი ქალბატონის ფრანგ ლეგენდა **დავიდ ტრეზეგესთან** უშუვალო შეხვედრაზეც იზრუნა.

კეთილი და პატიოსანი – რა სჯობს ასეთი სახელოვანი ვეტერანის მასტერკლასში მონაწილეობით სახეგაბადრული მომავალი თაობით ტკბობას, მაგრამ ყაჩაღ-ბანკირი რისი ხანდაზმული თაღლითი იქნებოდა, ოპოზიციურ ტელეეთერში ჩვეული ნოტები არ გაეჟღერებინა და ხაზი არ გაესვა უკვე ყავლგასული ფაქტისთვის – ნახეთ, რა საამურია ქართული ოცნების რეჟიმის მმართველობისგან თავისუფალ ერთადერთ რაიონში ცხოვრება.

რამდენიმეპროცენტიანი ლელოს ოდიოზურ ლიდერს, რომელმაც, სხვა არაერთი შემთხვევის მსგავსად, თავი წერილის შესავალში ნახსენები ანაკლიის სტრატეგიული ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებელი ტენდერის გამოცხადების დროსაც შეირცხვინა, მოკეთის პოზიციიდან შევკადრებ: შალიკოსა თუ მზექალას ფანჩატურებში ტრაგიკომიკურ ხეტიალს საფეხბურთო სარბიელზე მოღვაწეობა გერჩიოს!

თითქოს აქ უნდა დაგვესვა წერტილი, მაგრამ მალევე განვითარებულმა მოვლენებმა გვაიძულა კიდევ ერთხელ გაგვესვა ხაზი იმ აქსიომისათვის, რომ ადამიანმა აუცილებლად, ადრე თუ გვიან, უნდა მიაგნოს მოწოდებას.

დიახ, მეორე დღეს დავიდ ტრეზეგე **კახი კალაძეს** შეხვდა, რა დროსაც საპატიო სტუმარმა ალალად განაცხადა: ჩემთვის ოჯახი უმთავრესია ისევე, როგორც კახი კალაძეს მივიჩნევ საქართველოდო!

გესმით, ბატონო მამუკა? ჰოდა, გაითვალისწინეთ!

გია პლატონიშვილი

◎ გზა დაელოცოს!

ტალანტიც, შრომაც, ღვაწლიც...

ეს, სადაც მამარდაშვილი და ქოჩორაშვილი გრწყინავენ, ერთი შეხედვით, მათ ჭაბუკ თანამემამულეებზე მოთხოვნილება გაზრდილი უნდა იყოს და გზის გაკვალვა არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ, მეორეს მხრივ, დაგვეთანხმებით, რომ ესპანურ ფეხბურთში დამკვიდრება პატივთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაც გახლავთ, რაც ტალანტის პარალელურად შრომისმოყვარეობასაც გულისხმობს.

ბუნებრივია, როცა ნიჭიერ ახალგაზრდაზე ვსაუბრობთ, არც სპორტული იღბლის ფაქტორი უნდა გამოვრიცხოთ, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ ჩაივლის ადაპტაციის პროცესი და რამდენად სწრაფად მოხდება ახალ გარემოსთან შეგუება.

და ბოლოს: ვატყობთ, სიტყვა გაგვექცა, ამიტომ სჯობს საკითხის არსში უკეთ გასარკვევად შემოთავაზებულ სიახლეს გაეცნოთ და აღნიშნული წერილის გმირს წარმატებები ვუსურვოთ, ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ იმ ყმაწვილის დაოსტატება, ვისი მაგალითიც თანატოლთათვის პერსპექტივაში მისაბაძად უნდა იქცეს, მამისა და რამდენიმე მოკეთის სახელს უკავშირდება.

სააგენტო „SPAIN FOOTBOLL“-ის ინფორმაციით, საფეხბურთო კლუბ „იბერია 2010-ის ნახევარმცველი, 18 წლის ლუკა გაბელაია ესპანურ საფეხბურთო კლუბ „C. F. POZUELO DE ALANCO“-ში გააგრძელებს კარიერას.

საფეხბურთო კლუბი „C. F. POZUELO DE ALANCO“ მადრიდის გუნდია, რომელიც იქაურ სეგუნდა დივიზიონში ასპარეზობს.

ქართველი ლეგიონერი წინა სეზონში ფოთის „კოლხეთი 1913“-ის ღირსებას იცავდა, პირენეებზე წასვლამდე კი „იბერია 2010“-ში თამაშობდა.

ლუკა გაბელაია 1 თვის მანძილზე გადიოდა სინჯებს ესპანეთში, რის შემდეგაც დედაქალაქის სეგუნდა დივიზიონის გუნდის სკაუტებმა შეამჩნიეს მისი შესაძლებლობები და მომავალი სეზონიდან ლუკა „C. F. POZUELO DE ALANCO“-ის ღირსებას დაიცავს.

◎ ჩემპიონთა ლიგა

უსაზღვრო რეალობა

მართლაც რომ უნიკალურია სამეფო კლუბი – მან მე-15 ტრიუმფი ისე გამოქვედა, რომ ჩემპიონთა ლიგის (ადრე – ჩემპიონთა თასის) გათამაშების ერთი ფინალიც კი არ წაუგია.

მეორეს მხრივ, რეალშიც ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადამიანები თამაშობენ, რომლებსაც, მაგალითად თასების მფლობელთა თასის გათამაშების გადამწყვეტი მატჩი აქვთ წაგებული მაშინ ჯერაც დამწყები შოტლანდიელი ჯადოქრის **ალექს ფერგიუსონის** გაწვრთნილ აბერდინთან (სხვათა შორის, სწორედ აღნიშნული ჯილდო აკლია გალაქტიკოსის უმდიდრეს კოლექციას და აღარც შეივსება, რადგან დასახელებული ტურნირი ბუნებაში აღარ არსებობს), მაგრამ ვიმეორებთ – ყველაზე პრესტიჟული ევროასპარეზობა რეალის სადარბაზო ბარათია (გნებავთ – ბრენდი).

როცა ესპანური გრანდის ბოლო მიღწევებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მივაგოთ საკადრისი პატივი **პარლო ანჩელოტის,** ვინც კოლეგათა შორის მრავალი პარამეტრით უკვეა რეკორდსმენი და, დიდი ალბათობით, კიდევ უფრო მაღლა ასწევს თამასას საამაყო სამწვრთნელო კარიერის დასრულებამდე.

და ბოლოს: მოხვეჭილი მე-6(!) უმაღლესი წოდებით გამოეთხოვა საკლუბო ფეხბურთს **ტონი კროოსი,** სრულად კი წერტილს ეს გერმანელი გენიოსი სამშობლოში ევრო – 2024-ის შემდეგ დასვამს.

რეალი – დორტმუნდი 2:0
გოლები: კარვახალი, ვინისიუსი.

◎ ოქტაგონზე

ქამარმოფლობელი

UFC-ის 302-ე ღონისძიების მთავარი ბრძოლა ისლამ მახაჩევმა მოიგო. ნიუ ჯერსიში გამართულ ჩხუბში მსუბუქი წონის ჩემპიონმა დასტინ პორიე ხუთრაუნდიან დაპირისპირებაში დაამარცხა, რომელსაც მახრჩობელა ილეთით აჯობა.

ისლამმა ზედიზედ მე-14 დაპირისპირებაში გაიმარჯვა და ტიტულის დაცვა მესამედ შეძლო. ამ მაჩვენებლით მახაჩევი ხაბიბ ნურმაგომედოვს, ბი ჯეი პენს, ფრენკი ედგარსა და ბენსონ ჰენდერსონს გაუთანაბრდა.

მთელი ორთაბრძოლა მახაჩევის უპირატესობით წარიმართა, თუმცა მიზანს მე-5 რაუნდში მიაღწია, როდესაც დროის ამოწურვამდე 3 წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა. მან დასტინს ფეხი დაუჭირა, რის შემდგომაც პორიემ თითქოს სიტუაციიდან გამოძრომა შეძლო, მაგრამ ისლამმა ამერიკელი ილეთით დააგდო და მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა, როდესაც კისერი დაუჭირა. გონგამდე 2:58 წუთი რჩებოდა და მახაჩევმა მორიგი გამარჯვება იზეიმა.

32 წლის სპორტსმენს MMA-ში 27 ბრძოლა აქვს ჩატარებული, საიდანაც 26 მოიგო და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

„ქალი ხელოვანი – ეპოქის სახე“



ბუდაპეშტში გაიხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა

უნგრეთის დედაქალაქში, ცნობილ ხელოვნების ცენტრში „პეშტი ვიგადო“, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობითა და უნგრეთში საქართველოს საელჩოს ინიციატივით საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სახვითი ხელოვნების გამოფენა – „ქალი ხელოვანი – ეპოქის სახე“. გამოფენა წარმოაჩენს ქართველ ქალ მხატვართა ხელოვნებას ბოლო 100 წლის განმავლობაში.

გამოფენა ბუდაპეშტში დაგეგმილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავი ღონისძიებების ნაწილია, რომლის მთავარი საზეიმო დღეც, ივნისის თვეში, ამავე საგამოფენო სივრცეში უნდა აღინიშნოს.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ: **თამარ ლილუაშვილი** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთში, ნიკა ახალბედაშვილი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორი, **ზომბორ ნაგი** – „პეშტი ვიგადოს“ დირექტორი, **ალექსანდრა გაგუნია** – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის საგამოფენო მიმართულების ხელმძღვანელი, გამოფენის კურატორები და ეროვნული გალერეისა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წარმომადგენლები.

ხელოვნების ცენტრში მოწყობილმა ექსპოზიციამ გააერთიანა რამდენიმე თაობის მხატვარი ქალები: ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი, თამარ აბაკელია, ესმა ონიანი, ლია შველიძე და სოფიო ჩერქეზიშვილი. წარმოდგენილი 45 ნამუშევარი შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეისა და მხატვართა პირადი კოლექციების ნაწილია.

დამთვალიერებელი ნახავს ელენე ახვლედიანის ურბანულ პეიზაჟებს, ქეთევან მაღალაშვილისა და ესმა ონიანის პორტრეტებს, თამარ აბაკელიას გრაფიკის კოლექციას, მის ორ ქანდაკებას, ყოფილი „იმელის“ შენობის რელიეფური ფრიზის ესკიზებსა და ფოტომასალას. აღსანიშნავია, რომ თამარ აბაკელიას ნამუშევრები პირველად გამოიფინა, მათ შორის მისი ქანდაკებები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იყო და ქართველი კურატორების ინიციატივითა და საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით ჩამოისხა პოლიესტერსა და ბრინჯაოში.

ასევე, გამოფენაზე წარმოდგენილია ლია შველიძის ფერწერული ტილოები, რომელთა მთავარი თემა ავტოპორტრეტია და სოფიო ჩერქეზიშვილის ფემინისტური შინაარსის ერთ-ერთი კონცეპტუალური სერია.

გამოფენის მთავარი მიზანია კონკრეტული ეპოქის ხელოვნების ფონზე წარმოაჩინოს ქალი ხელოვანები, მათი შემოქმედება და მათი მისწრაფება ემანსიპაციისაკენ. ქართველ მხატვართა შემოქმედებაში ასახულია ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება მოდერნიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე, ექსპრესიონიზმიდან ფემინისტურ ხელოვნებამდე, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციები, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენს ევროპასთან საქართველოს მჭიდრო ისტორიულ კავშირს.

გამოფენის კურატორები არიან ალექსანდრა გაგუნია, მაია ჩიკვაიძე და მაკა ბეჟუაშვილი. მნიშვნელოვანია, რომ გამოფენასთან დაკავშირებით კატალოგიც გამოიცა ინგლისურ და უნგრულ ენებზე.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული გალერეის კურატორთა მიერ შექმნილი გამოფენის კონცეფცია და პროექტი უნგრეთის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საკონკურსო ჟიურიმ დაამტკიცა. გამოფენა 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

სიძე-ცოლისძმა შაიბნენ!..

სიძის დაჭრის ფაქტზე მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორი დააკავეს

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ცეცხლსასროლი იარაღით ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე სამართალდამცავი დააკავა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა- მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის 30 მაისს, ქალაქ დუშეთში, ბრალდებული სამართალდამცავი დასთან სტუმრად მივიდა, სადაც კონფლიქტი მოუვიდა დის მეუღლე გ.ბ.-სთან. დაპირისპირება გაგრძელდა ეზოში, რა დროსაც ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღიდან სამჯერ გაისროლა, რის შედეგადაც გ. ბ.-მ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, გამოძიება წარმართა. გამოიკითხნენ მოწმეები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, ამოღებული იქნა დანაშაულის იარაღი, მოპოვებული იქნა ნივთიერი მტკიცებულებები, რის შემდეგაც, სამართალდამცავი დააკავეს.

სამართალდამცავს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) წარედგინა.

დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე გამოძიებას აგრძელებს.

ახალგაზრდა ტერორისტი

დაკავებულია რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით ჩეჩენი, რომელიც პარიზის ოლიმპიადაზე ტერაქტს ამზადებდა

საფრანგეთში დააკავეს რუსეთის 18 წლის მოქალაქე, რომელიც პარიზის ოლიმპიადაზე ტერაქტის მომზადებაშია ეჭვმიტანილი.

როგორც **BFMTV** პოლიციაზე დაყრდნობით იუწყება, ჩეჩნური წარმოშობის ახალგაზრდა შიდა უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს (**DGSI**) თანამშრომლებმა დააკავეს. მათ ეჭვი აქვთ, რომ „ისლამიზმით შთაგონებული“ რუსეთის მოქალაქე 2024 წლის თამაშების დროს სენტ-ეტიენის საფეხბურთო სტადიონზე თავდასხმას აპირებდა.

გამოძიების პირველადი მონაცემებით, მამაკაცი ამზადებდა მაყურებლებზე და პოლიციის თანამშრომლებზე მიზანმიმართულ ტერაქტს სტადიონ „უოფრუა გიშარზე“, რომელზეც ზაფხულში ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის მატჩები გაიმართება. ეჭვმიტანილი საკუთარ სახლში დააკავეს – მას შემდეგ, რაც მას უკვე ჩატარებული ჰქონდა პირველი დაზვერვა.

ჩეჩენ ახალგაზრდას კვირას წაუყენეს ბრალი, როგორც ტერორისტული ჯგუფის მეთაურს, რომელიც ამზადებდა დანაშაულს ადამიანებისთვის ზიანის მიყენების მიზნით. დაპატიმრების შემდეგ, ის საგამომძიებლო იზოლატორში მოათავსეს.

ჩხრეკისას გამომძიებლებმა რუსი მოქალაქის კომპიუტერში სენტ-ეტიენის სტადიონის ფოტო აღმოაჩინეს, აგრეთვე მის ტელეფონში ამავე სტადიონის ვიდეო იყო ჩაწერილი.

აღნიშნავენ, რომ დაკავებამდე ეჭვმიტანილი არ იყო ცნობილი პოლიციისთვის და იუსტიციის ორგანოებისთვის. ახალგაზრდა მამაკაცი საფრანგეთში 2023 წელს მშობლებთან ერთად ჩავიდა. მისი არასრულწლოვანი ძმაც დააკავეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს...

ანსამბლ „ბორჯომის“ სოლო კონცერტი წაღვერის საქალაქო კულტურის სახლში

ანსამბლი „ბორჯომის“ წევრებმა ძველ, კარგად ნაცნობ რეპერტუართან ერთად ახალი სიმღერებიც შეასრულეს.

ღონისძიებას სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ვარდიაშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არმოლიშვილი, მერის მოადგილე გიორგი ტაბატაძე, ადგილობრივი თვითმართველობის წევრები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

ანსამბლს გიორგი ბუგიანიშვილი და რობერტ ნადირაძე ხელმძღვანელობს.

კონცერტზე რამდენიმე სიმღერა შეასრულეს „ჩოხოსნებმა“ და ახალი თაობის ანსამბლმა „ბორჯომმა“.

ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი ჩოხატაურში

ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ ინიციატივით და ჩოხატაურის მერიის მხარდაჭერით, დაბა ჩოხატაურში ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი „Play With Us/gveTamaSe“ გაიხსნა, რომელიც 2-დან 18 წლამდე ბავშვებს და მობარდებს მოემსახურება.

ახალი ცენტრი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით; აქ შესაძლებელია სხვადასხვა სერვისის მიღება, მათ შორის: ფსიქოლოგის კონსულტაცია, ქცევის თერაპია, აკადემიური თერაპია, მეტყველების თერაპია და ფსიქოთერაპია.

ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრის გახსნას ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ დამფუძნებელი ნათია ლალიაშვილი და ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„112-ის გმირი“ ბავშვები

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-მა, 4 მოზარდს „112-ის გმირის“ წოდება მიანიჭა. მოზარდებმა ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ წუთებში სხვა ადამიანების გადასარჩენად, გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს.

პროექტი „112-ის გმირი“ 2016 წლიდან ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, ყოველ წელს ჯილდოვდებიან ის მოზარდები, რომლებმაც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს და კარგად იციან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში.

წელს ოთხივე გმირი გოგონაა: ბარბარე ციმინტია – 8 წლის, მართა ჯანტურია – 9 წლის, ნია პახიშვილი – 13 წლის, ელენე უტიაშვილი – 13 წლის.

დედამიწის დაცვის დღე

2 ივნისი მტკვრის დაცვის დღედ ითვლება. მტკვრის დაცვის დღე საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, კოალიცია „მტკვარ-არაქსის“ ინიციატივით, 1999 წელს დაარსდა.

გარემოს ეროვნული სააგენტო მდინარე მტკვრის აუზის ხარისხის რეგულარულ მონიტორინგს, ყოველთვიურად, 20 წერტილში, სამ თვეში ერთხელ კი, 34 წერტილში ახორციელებს. ამ კვლევების შედეგები გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე ქვეყნდება.

მტკვრის დაცვის დღესთან დაკავშირებით, გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა მდინარე მტკვარზე წყლის სინჯები აიღეს. აღებულ სინჯებში, ადგილზე ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები განისაზღვრა, ხოლო ორგანული და არაორგანული დამაბინძურებლები და მძიმე ლითონები სააგენტოს თანამედროვე სტანდარტებითა და მაღალი სიზუსტის მქონე ანალიტიკური ხელსაწყოებით აღჭურვილ ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის შემოწმდება, რომლის შედეგებიც რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

მტკვარი საქართველოს უმთავრესი მდინარეა. მდ. მტკვრის აუზი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთს, მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ საქართველოს, თითქმის მთელ აზერბაიჯანს, მთელ სომხეთს და ჩრდილო-დასავლეთ ირანს მოიცავს. მდინარის აუზის საერთო ფართობი 188 000 კვადრატული კილომეტრია, ხოლო მთლიანი სიგრძე 1515 კილომეტრს შეადგენს.

ხაჭაპური და გოზინაყი 100 საუკეთესო ევროპულ ხემსს შორის მოხვდა

მსოფლიო კულინარიის ონლაინ გიდმა TasteAtlas, 16 ათასზე მეტ მომხმარებელს შორის ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, 100 საუკეთესო ევროპული ხემსის რეიტინგი შეადგინა.

აღნიშნულ რეიტინგში მე-3 ადგილზე ხაჭაპური, 53-ზე კი გოზინაყი მოხვდა.

რეიტინგში ხაჭაპურთან დაკავშირებით ვკითხულობთ, რომ ის საქართველოში ყველაზე პოპულარული კერძია და რომ ამ ყველიანი პურის მრავალი ვარიაცია არსებობს.

რეიტინგში პირველი ადგილი ლიეტუვურმა კეპტა დუონამ დაიკავა. ის ჭვავის პურისგან უმარტივესად მზადდება, კერძოდ, ნიორში ამოვლებული პურის წვრილი ჩხირები ზეთში იწვება. კეპტა დუონა ბარებში ლუდზე მისაყოლებელ საუკეთესო ხემსად ითვლება.

ჯგუფ ABBA-ს წევრებს რაინდის წოდებები მიენიჭა

შვედეთის მეფის გადაწყვეტილებით, ჯგუფ ABBA-ს წევრებს – ბენი ანდერსონს, აგნეტა ფელტსკოგს, ანი-ფრიდ ლინგსტადს და ბიორნ ულვეუსს რაინდის წოდებები მიენიჭა.

შვედური მედიის ინფორმაციით, ქვეყნის მეფის, კარლ XVI გუსტავისა და მისი მეუღლის, დედოფალ სილვიას ხელიდან მიღებული ჯილდოები „აღიარებს იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც მუსიკოსებმა ქვეყნის განვითარებაში შეიტანეს“.

საზეიმო ცერემონია 31 მაისს სტოკჰოლმის სამეფო სასახლეში გაიმართა. სულ „ვაზის ორდენი“ 13 ადამიანს მიენიჭა – ABBA-ს წევრების გარდა ორდენის კავალრები გახდნენ ნობელის პრემიის ლაურეატები სვანტე პააბო და ან ლ'იუილე, არტისტი ევა რიდბერგი და სხვები.

ძველისძველი ხელოვნების 600 ნიმუში ამერიკამ იტალიას დაუბრუნა

ეს ნიმუშები, რომლებიც დაახლოებით 60 მილიონ ევროდ არის შეფასებული, რომში, კულტურული მემკვიდრეობის დამცველი კარაბინიერების შტაბ-ბინაში, 28 მაისს წარადგინეს.

კოლექციაში შედის სიძველეები, საარქივო მასალები, ნუმიზმატიკური საგნები და არქეოლოგიური ნივთები, რომლებიც ძვ.წ. IX – ახ.წ. II საუკუნეებით თარიღდება. კულტურის სამინისტროს განცხადების თანახმად, ამ ნივთების ნაწილი ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში უკანონოდ წარმოებული გათხრების დროს აღმოაჩინეს, ნაწილი კი ეკლესიებიდან, მუზეუმებიდან და კერძო კოლექციებიდან არის მოპარული.

ნამუშევრები იტალიაში კულტურული მემკვიდრეობის დამცველი კარაბინიერების ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული საფუძვლიანი გამოძიების შემდეგ დაბრუნდა, რომელიც იტალიის პროკურატურასთან, ნიუ-იორკის საოლქო პროკურატურასთან და აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გზით განხორციელდა.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (ფიფიანის ბაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ძორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 5 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7949; ევრო - 3.0319;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5548;
100 რუბლი - 3.0972; თურქული ლირა - 0.0868;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6428;
1000 სომხური დრამი - 7.2063.

ამინდი 3 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge